# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ორშაბათი, 20 მაისი. 2024 წ. №59 (9739) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


# როცა პრემიერი გონიერია!

## ვთავაზობ აქციებში მონაწილე ახალგაზრდებს, გამოყონ ათამდე წარმომადგენელი, რომელთანაც გავმართავ საჯარო დისკუსიას გამჭვირვალობის შესახებ კანონის გარშემო



2–6

**დავით გურგენიძე:** კი, ბატონო, აქციებზე იარეთ, ვინ გიშლით, ოღონდ არავითარი გაფიცვა და აკადემიური პროცესის ჩაშლა!

# ფორსირებული შეტევა საქართველოზე

3



4–5

...მოდი და, ნუ დაიჯერებ გასულ კვირაშივე გავრცელებულ ჭორს, რომ ეს პატივცემული „მეგობარი“ პოლიტიკოსები დავით კეზერაშვილმა დაიქირავა, საქართველოში ვიზიტისთვის თითოეულს 50 000 დოლარი გადაუხადა და მიტინგზე სიტყვით გამოსვლისთვის კი პრემიის სახით კიდევ 50 ათასს დაპირდა. საქართველოს და, განსაკუთრებით, კეზერაშვილ-ხაზეიშვილის სიყვარულით დაბრმავებულმა „მეგობრებმაც“ დავალება პირნათლად შეასრულეს!

# მაჩვენე რუკაზე თურქეთი და გეტყვი, ვინა ხარ შენ




7

## წლების მერე, იშვიათი ფოტოარქივი რომ დაუგროვდა, დაწერა წიგნი, რომელსაც „ჩიტებით სავსე ყუთი“ დაარქვა

## პუტინის ომები და... 40 მილიონი რუსი ტუალეტის გარეშე

8

## გვიმრავლოს!



# ტრიუმფი არაბულ ტატამზე

**აბუ დაბიში** გუშინ დაწყებული ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატის სტარტზე სასიამოვნო სიურპრიზით გაგვახარა 20 წლის თვითნაბადმა ტალანტმა **გიორგი სარდალაშვილმა** (60 კგ).

შარშანდელი მსგავსი ფორუმის ბრინჯაოს პრიზიორმა არაბულ ტატამზე ზედიზედ სძლია ჩრდილოკორეელ, ტაიპეელ, აზერბაიჯანელ, იაპონელ(!) და ფინალში კიდევ ერთ ტაიპეელ მეტოქეებს და პლანეტას საპატიო კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურიდან გადმოხედა.

**ვულოცავთ!**

დავძენთ, რომ პარიზის ოლიმპიადამდე 2 თვით ადრე საქართველოს ნაკრები ამჯერად შედარებით შესუსტებული შემადგენლობით ასპარეზობს.

# ოქროც, ლიცენზიაც




**გუშინვე** იაპონიაშიც აჟღერდა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი, სადაც პარამძლეოსნობაში დაწყებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ბირთვის მკვრელმა **გიგა ოჩხიკიძემ ოქროს** მედალიც მოიხვეჭა და პარიზის პარალიმპიადის ლიცენზიაც დაიმსახურა.

**ყოჩაღ, გიგა!**

# სალომე ზურაბიშვილმა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონს ვეტო დაადო



## სულ მალე ვეტოებით თამაში მთავარსარდალ სალომეს სახლში მოუწევს!

**საქართველოს** პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონს ვეტო დაადო. აღნიშნულის შესახებ მან ბრიფინგზე განაცხადა.

**„დღეს დავადე ვეტო „რუსულ კანონს“, რომელიც ეწინააღმდეგება ჩვენს კონსტიტუციას, ევროპულ სტანდარტებს და ამდენად, წარმოადგენს შეფერხებას ჩვენს ევროპულ გზაზე. ეს ვეტო არის სრულიად გამართული იურიდიულად და დღესვე გადაეცემა პარლამენტს. ეს კანონი არ ექვემდებარება არავითარ ცვლილებას, არავითარ გაუმჯობესებას და ამდენად, არის ძალიან მარტივი ვეტო. ეს კანონი უნდა გაუქმდეს“,** – აღნიშნა პრეზიდენტმა.

პარლამენტმა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი მესამე მოსმენით მიიღო. კანონპროექტს მხარი დაუჭირა 84-მა, წინააღმდეგ ხმა მისცა პარლამენტის 30-მა წევრმა.

ცვლილებები „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად“ ისეთი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და მედიასაშუალებების რეგისტრაციას ითვალისწინებს, რომელთა შემოსავლის გარკვეული მოცულობა – 20 პროცენტზე მეტი უცხოეთიდან არის მიღებული.

კანონპროექტის მიხედვით, ყველა, ვინც „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად“ მოიაზრება, საჯარო რეესტრში სავალდებულო წესით ამავე სახელწოდების ბაზაში უნდა დარეგისტრირდეს. რეგისტრაციის დროს კი აუცილებელი იქნება მიღებული შემოსავლების ასახვა.

ცვლილებებით, ორგანიზაციებს საფინანსო დეკლარაციის ყოველწლიურად შევსების ვალდებულება ექნებათ. კანონპროექტი „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის“ გამოსავლენად იუსტიციის სამინისტროს უფლებამოსილებას ანიჭებს, ნებისმიერ დროს კვლევა ჩაატაროს და საკითხის შესწავლა-მონიტორინგი განახორციელოს.

„უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად“ რეგისტრაციისთვის თავის არიდება ან დეკლარაციის შეუვსებლობა გამოიწვევს ორგანიზაციის დაჯარიმებას 25 ათასი ლარის ოდენობით. პროექტით ასევე გათვალისწინებულია შემდეგი სახის ჯარიმები: იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე დაშვებიდან ათი სამუშაო დღის ვადაში თუ ორგანიზაცია არ შეავსებს განაცხადის ფორმას – 10 ათასი ლარი; თუ დოკუმენტებში ხარვეზები განსაზღვრულ ვადაში არ გამოსწორდება, ჯარიმა 10 ათასი ლარი იქნება; კანონით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ერთი თვის შემდეგ ჩადენა გამოიწვევს დაჯარიმებას 20 ათასი ლარის ოდენობით.

### ირაკლი ღარიბაშვილი

## თუ ვეტო არის გამოსავალი და ვეტოს ფარგლებში შესაძლოა, მოიძიონ რაღაც, რომელიც ამ ვითარებას განმუხტავს, ეს იდეალური იქნება!



**„ქართული ოცნების“ თავმჯდომარის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, „გამჭვირვალობის" შესახებ სამი მოსმენით მიღებული კანონის ირგვლივ შექმნილი მწვავე დაპირისპირების ფონზე, „ქართული ოცნების“ გუნდი დისკუსიისთვის მზად არის.**

**ირაკლი ღარიბაშვილმა კანონზე ვეტოს გამოყენების პროცედურების დროს, მასზე მსჯელობის შესაძლებლობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ თუ ვეტო სიტუაციას განმუხტავს, ეს იდეალური შემთხვევა იქნებოდა.**

**„მზად არის გუნდი დისკუსიისთვის თუ პროცედურულად სხვა გამოსავალი არ არსებობს, ალბათ ამას გულისხმობდნენ ჩვენი კოლეგები, აი თუ ვეტო არის გამოსავალი და ვეტოს ფარგლებში შესაძლოა, მოიძიონ გამოსავალი, რომელიც ამ სიტუაციას განმუხტავს, თუ ყველა ჩართულ მხარეს მიაღებინებს იმას, რაც მისაღებია, მგონი ეს იდეალური შემთხვევა იქნებოდა“...**

### ირაკლი კობახიძე:

# ვთავაზობ აქციებში მონაწილე ახალგაზრდებს, გამოყონ ათამდე წარმომადგენელი, რომელთანაც გავმართავ საჯარო დისკუსიას გამჭვირვალობის შესახებ კანონის გარშემო

## ვინც პრემიერის ამ თხოვნას არ ეთანხმება, ის „ან ჭკვიანი მტერი არის, ან უგნური მოყვარე“...



**„ენჯეოების“** გამჭვირვალობის გასაპროტესტებლად მოწყობილ ბოლო აქციებზე ძალადობის ხარისხი მნიშვნელოვნად იყო შემცირებული, რისთვისაც აქციებში მონაწილე ყველა ჩვენს გულწრფელ თანამოქალაქეს მადლობა მინდა გადავუხადო.

აქციებზე ძალადობას კონკრეტული ორგანიზატორები ჰყავდა. ესენი იყვნენ რადიკალური პარტიები და „ენჯეოები“ და მათთან დაკავშირებული ძალადობრივი დაჯგუფებები. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ძალადობაზე უარის თქმა ამ ადამიანების გადაწყვეტილება იყო.

შესაბამისად, უნდა ვიფიქროთ, რომ ძალადობის შემცირება იმ ახალგაზრდების დამსახურებაა, რომლებიც აქციებში არა პოლიტიკური მოტივით მონაწილეობდნენ, არამედ რომლებმაც გულწრფელად დაიჯერეს, რომ კანონს ჩვენი ქვეყნის ევროპული ინტეგრაციისთვის დაბრკოლება შეიძლებოდა შეექმნა. უნდა ვიფიქროთ, რომ საბოლოოდ, სწორედ მათ შესძინეს აქციებს ქართული კულტურისთვის მისაღები, მშვიდობიანი სახე.

ემოციები უმეტესწილად ჩაცხრა. ბევრმა ადამიანმა, რომელიც მანამდე სხვაგვარად ფიქრობდა, უკვე გაიაზრა, რომ გამჭვირვალობის შესახებ კანონი, სინამდვილეში, სულაც არ არის რუსული. გარე შანტაჟის მიუხედავად, ბევრმა ისიც გაიაზრა, რომ ეს კანონი არც საქართველოს ევროინტეგრაციას შეაფერხებს.

ბევრი იმასაც გაიხსენებდა, რომ გარედან ზუსტად ასევე გვაშანტაჟებდნენ, როდესაც ჩვენგან სანქციებზე მიერთებას და საქართველოს ეკონომიკის ჩამოშლას, მთავრობის ოფიციალური თანხმობით უკრაინაში მებრძოლი მოხალისეების გაგზავნას და სამხედრო კონფლიქტში საქართველოს ჩართვას, სასამართლო ხელისუფლებისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის მორღვევას, თითქოსდა მომაკვდავი სააკაშვილის გათავისუფლებას, გვარამიას ციხიდან გაშვებას, კეზერაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის დევნის შეწყვეტას და ბიძინა ივანიშვილის დასჯას ითხოვდნენ. თუმცა, ისიც ყველას ახსოვს, რომ არც ერთ ამ შეურაცხმყოფელ მოთხოვნას არ დავთანხმდით და ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მაინც მივიღეთ. თუ მომავალშიც ასეთივე ღირსებას ვაჩვენებთ, აუცილებლად მივაღწევთ შედეგს ყველა მიმართულებით, მათ შორის საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე.

ყველას ახსოვს, რომ მმართველი გუნდი მთელი ამ დროის განმავლობაში სრულიად ღია იყო დისკუსიისთვის „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონთან დაკავშირებით. ჩვენ ამგვარი ღია დისკუსია იმ ქვეყნების ელჩებსაც შევთავაზეთ, რომლებიც საქართველოს შიდაპოლიტიკურ საკანონმდებლო დებატებში უხეშად ერეოდნენ. თუმცა, სამწუხაროდ, ელჩები საჯარო დისკუსიას გაექცნენ, მათი ქვეყნების წარმომადგენლებმა კი, ზღვის თუ ოკეანის გაღმიდან, კვლავაც არგუმენტებს მოკლებული უხეში განცხადებების კეთება განაგრძეს. ზუსტად ანალოგიურად გაექცნენ ჯანსაღ დისკუსიას რადიკალური ოპოზიციის კუთვნილი მედიასაშუალებების წარმომადგენლებიც. ეს ყველაფერი იმის ნიშანია, რომ კანონის წინააღმდეგ არგუმენტები, სინამდვილეში, არ არსებობს და ჩვენს ოპონენტებს ამოძრავებთ ერთადერთი მიზანი, „ენჯეოების“ ფინანსების შესახებ ინფორმაცია საქართველოს მოსახლეობას რამენაირად დაუმალონ.

საქართველოს მომავალი ახალგაზრდებს ეკუთვნის. ჩვენს ქვეყანას ჰყავს სანიმუშო, გამორჩეულად ნათელი და პროგრესული ახალგაზრდობა და ამ ქვეყნის მართვისა და განვითარების საქმე მომავალში სწორედ მათ უნდა გადაიბარონ. ეს ქვეყანა მომავალში ერთად უნდა მართონ ახალგაზრდებმა, რომლებიც დღეს იწონებენ ან აპროტესტებენ გამჭვირვალობის შესახებ კანონს. შესაბამისად, ყველა ჯანსაღ ახალგაზრდასთან შეხვედრა და მნიშვნელოვან საკითხზე მსჯელობა ჩემთვის განსაკუთრებული პატივია. მზად ვარ, მათგან არა მხოლოდ მოვისმინო, არამედ, სათანადო შემთხვევაში, აგრეთვე გავიზიარო შენიშვნები და ახალგაზრდებისგანაც ასეთივე დამოკიდებულებას მოველი. თუ ადამიანი დარწმუნდება, რომ არასწორად ფიქრობდა, აღიარება და პოზიციის შეცვლაც უნდა შეეძლოს, რაც ადამიანის არა სისუსტეზე, არამედ სწორედ ღირსებაზე მეტყველებს.

ვფიქრობ, ჩამცხრალი ემოციების ფონზე, არსებობს უკეთესი შესაძლებლობა იმისა, რომ გაიმართოს ჯანსაღი დისკუსია კანონთან დაკავშირებით. შესაბამისად, ვთავაზობ აქციებში მონაწილე ახალგაზრდებს, გამოყონ ათამდე წარმომადგენელი, რომელთანაც გავმართავ საჯარო დისკუსიას გამჭვირვალობის შესახებ კანონის გარშემო. შეგიძლიათ დისკუსიას დაასწროთ 2-3 არაახალგაზრდაც, რომელსაც თქვენ ავტორიტეტულ ექსპერტად განიხილავთ.

**იმედი მაქვს, ჩვენ კონსტრუქციულობასა და ღიაობაზე ამჯერად მაინც მივიღებთ შესატყვის პასუხს და ელჩებისგან და რადიკალური ოპოზიციის კუთვნილი მედიასაშუალებებისგან განსხვავებით, ახალგაზრდები მონაწილეობას მიიღებთ ჯანსაღ დისკუსიაში გამჭვირვალობის კანონის შესახებ.**

# ფორსირებული შეტევა საქართველოზე

## საქმე უფრო მძიმედაა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს!

**წლევანდელი მაისი უსაშველოდ უჟმური და მოწამლული აღმოჩნდა. ჯერ წვიმებმა შეაღონა გული, მერე – პოლიტიკურმა სეტყვამ.**

**მეორედ მოსვლა 14 მაისს დაიწყო, როცა სადავო კანონპროექტი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო დიდი ხმაურით, ღრიანცელით, ერთმანეთის გვერდების ზელვით: 84 მომხრე, 30 მოწინააღმდეგე.**

ოპოზიციამ თავისი ვერ გაიტანა – კანონის მიღება ვერ ჩააგდო, მაგრამ ის კი ჰქმნა, რომ ქვეყანა მის წინააღმდეგ განაწყო და თბილისის (შემდეგ კი ბათუმის და ქუთაისის) ქუჩები აქციებით გადაიჭედა. გაისმა საშინელი ლოზუნგები. ხელისუფლებას აუმხედრეს შინაურიც და გარეულიც. კანონპროექტის საწინააღმდეგო მსვლელობებში ჩააბეს ეტლებში მსხდომი ჩვილებიც კი, რომლებსაც ტელეკამერების წინ მოკეკლუცე დედები მიაგორებდნენ. ცალკე-დედების მსვლელობა (უბავშვებოდ)...ცალკე-სკოლის მოსწავლეთა მსვლელობა...

ყველაფერ ამის ინიციატორები ცდილობენ, რომ ვითარება ისე წარმოაჩინონ, თითქოს მთელი ქვეყანაა ამხედრებული ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელიც იმ ყბადაღებული კანონით ცდილობს „ძირი გამოუთხროს ქვეყანას, გადააბაროს ის რუსეთს, გადაიყვანოს ევროპისკენ მიმავალი გზიდან“. ერთი სიტყვით, არ არსებობს ცოდვა, რომელსაც ფუძედ არ ედოს ეს „ეშმაკეული“ კანონპროექტი, რომელიც „ოცნებისეულმა“ პარლამენტმა მიიღო მთელი მსოფლიოს შეგონების მიუხედავად. და ახლა „რუსული კანონის“ მოწინააღმდეგენი ხალხს მოუწოდებენ უკვე არა კანონის, არამედ, ხელისუფლების წინააღმდეგ...

და დაიწყო დაუსრულებელი სტუმრობა ევროპიდან, რასაც სკანდალი მოჰყვა.

საქართველოში ვიზიტით მყოფი ესტონეთის, ლიეტუვისა და ისლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრები „რუსული კანონის“ საწინააღმდეგო აქციას შეუერთდნენ და მასთან ერთად გაიარეს რუსთაველის გამზირი პარლამენტის შენობამდე, სცენაზეც ავიდნენ და ხალხს მხარდაჭერა გამოუცხადეს, რის შემდეგაც აქციის მონაწილეებმა დაიწყეს სკანდირება: „მადლობა!“ „მადლობა!“

მადლობა რისთვის? ძმებო, დებო და შვილებო! იმისთვის, რომ უცხო ქვეყნის დიპლომატებმა (მაღალი რანგის დიპლომატებმა!) აღმაშფოთებლად დაარღვიეს დიპლომატიის ფუძემდებლური ეტიკეტი და ხელები ურიეს მასპინძელი ქვეყნის საშინაო საქმეში?

ჩვენ მოვისმინეთ გერმანიის პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მიხაელ როთის სამარცხვინო განცხადება, სადაც დიპლომატი-სტუმარი ძალიან ცუდად შეეხო ჩვენს მართლმდიდებელ ეკლესიას, „გამიჯნა ახალგაზრდებისგან, ნათელი მომავლისგან“. ამ სიტყვების ავტორმა, დეკანოზმა ანდრია ჯაღმაიძემ ხაზი გაუსვა იმასაც, რომ განსაკუთრებით უხერხულობას ქმნის ის იმპერიული ტონი და ზეწოლა, რომელიც გარედან ისმის.

**როთმა მარილი დაგვაყარა ჭრილობაზე, როცა შემდგომ სოციალურ ქსელში დაწერა, ჩვენ „ქართულ კოშმარს“ (?!) ამ კანონის მოდიფიკაციაში არ უნდა დავეხმაროთო. მან გააკრიტიკა შარლ მიშელის განცხადება იმის თაობაზე, რომ 15 მაისს საქართველოს პრეზიდენტთან და პრემიერ-მინისტრთან სატელეფონო საუბრისას „ყველა მხარის ლეგიტიმური შეშფოთებების მოსაგვარებლად საუკეთესო გზების პოვნაში“ საკუთარი მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დააფიქსირა.**

**შარლ მიშელის არარადიკალურმა პოზიციამ ბევრი „მეგობრის“ უკმაყოფილება გამოიწვია შინ თუ გარეთ. მათ შორის ყველაზე რადიკალური იყო ევროპარლამენტარ მარკელა გრეგოროვას გამოხმაურება: „ევროკავშირმა უნდა გააქარწყლოს მხოლოდ საქართველოს მოქალაქეების ლეგიტიმური შეშფოთება ევროპულ მომავალთან დაკავშირებით. გააკეთეთ ეს, ან გადადექით! “**

**აუჰ, გენაცვლე ჭიკჭიკა ენაში!**



ბატონი როთი 13 მაისს ჩამობრძანდა ევროკავშირის წევრი ქვეყნების პარლამენტების საგარეო კომიტეტების თავმჯდომარეებთან ჩეხ პაველ ფიშერთან, ლიეტუველ ჟიგიმანტას პავილიონისთან, პოლონელ ბოგდან კლიხოვსა და ფინელ სებასტიან ტინკინენთან ერთად. ისინი პარლამენტის წინ მდგომ ხალხს შეუერთდნენ და მიმართეს კიდეც შემდეგი მესიჯებით: „შეაჩერეთ რუსული კანონი!..“ „ამ საღამოს ჩვენ ყველანი ქართველები ვართ!..“ „ჩვენ უნდა შევაჩეროთ პუტინი უკრაინასა და საქართველოში!..“

**მადლობა ღმერთს, ამ საყოველთაო გნიასში თავის საქმეს ბეჯითად აკეთებს ხელისუფლება. საყურადღებოა პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის „მიმართვა ახალგაზრდებს“, სადაც იგი მოტყუებულ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს უხსნის მიმდინარე მოვლენების არსსა და შინაარსს. პრემიერმა წამოაყენა წინადადება, შეხვდეს პროტესტის მონაწილე ახალგაზრდებს და გულახდილად ესაუბროს მათ.**

შევადაროთ ეს მოწოდებები საქართველოში ჩინეთის ელჩის განცხადებას, როცა ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე პოზიციის დაფიქსირება სთხოვეს ჟურნალისტებმა: ის მოვლენები, რაც ახლა საქართველოში ხდება, ქვეყნის შინაური საქმეა და მე არავითარი უფლება არ მაქვს, შევაფასო, ან კიდევ უფრო მეტი-მასში ჩავერიოო. ამით მან ფაქტობრივად პასუხი გასცა ზოგიერთი მაღალი რანგის დიპლომატის ძალიან გამჭვირვალე მტრულ ენამზეობას.

ოღონდ ისიც სათქმელია, რომ იმ დღეების ყველა სტუმარი „მნიშვნელობითა და შინაარსით“ ერთად ვერ მოჰკრებდა აშშ სახელმწიფო მდივნის თანაშემწის ჯიმ ო' ბრაიენის წონას. ის არ იყო მაინცდამაინც ისეთი სუსხიანი, „მაღალი“ და შეუვალი, როგორც სხვები, რამაც გააჩინა იმედი. თუ ეს კანონი დარჩება ევროსტანდარტების შეუსაბამო, ეს იქნება ძალიან სარისკო და სახიფათო ჩვენი ორმხრივი ურთიერთობებისთვისო; აშშ-მა ამ ეტაპზე გამოყო 390 მილიონი დოლარი საქართველოს დასახმარებლად, ეს დახმარება უკვე დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ, თუკი შეიცვლება სტრატეგიული პარტნიორობა და აშშ მოაზრებული იქნება მოწინააღმდეგედ და არა პარტნიორადო.

**იმედი წარმოშვა-მეთქი რომ მოგახსენეთ, რა თქმა უნდა, ამ სიტყვებს კი არ ვგულისხმობდი, არამედ იმას, რომ რჩება რაღაც შესაძლებლობა, რომ ეს თავიდან ავიცილოთ, თუ იმ კანონში რაღაცები შეიცვლება. ხოლო „რაღაც-რაღაცა“ რომ შეიძლება შეიცვალოს, თუკი ის არგუმენტირებული იქნება, ამაზე უკვე არის ლაპარაკი! ხელისუფლება ელოდება ვენეციის კომისიის დასკვნას, საზოგადოებისგან ითხოვს წინადადებებს და მოსაზრებებს.**

ისე რომ, პრეზიდენტისთვის გაგზავნილი კანონი ვეტოდადებული რომ დაბრუნდება (ნაკლები იმედია, რომ ამ ვეტოს თანდართული ექნება პრეზიდენტის წინადადებები, ჩასწორებები და კეთილი სურვილები, თუმცა, ეშმაკისას რას გაიგებ), მის დასაძლევად მუშაობა რომ გაიშლება, თუ სურვილია, იმ პერიოდში ბევრი რამ შეიძლება მოხდეს. აი, ამ იმედზე მოგახსენებდით.

თორემ ჯეიმს ო'ბრაიენის სიტყვების გარდა, იმავე 14 მაისს თეთრი სახლის პრეს-მდივნის განცხადებაც მოვისმინეთ: „ჩვენ პირდაპირ ვაცხადებთ ჩვენს შეშფოთებას კანონის გამო, რომელიც ეწინააღმდეგება დემოკრატიულ ღირებულებებს...შევხედავთ, რას გააკეთებს პარლამენტი, მაგრამ თუ ეს კანონპროექტი საბოლოოდ დამტკიცდება, ეს გვაიძულებს, ფუნდამენტურად გადავხედოთ საქართველოსთან ჩვენს ურთიერთობას“.

**ჰოდა, საქმეს ჭკვიანურად უნდა წარმართვა. გონივრული კომპრომისი საჭირო და აუცილებელია. ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, ნამდვილად მოითხოვს გონივრულობას. დღიან-ღამიანად გადაჭედილი ქუჩები, იქ გაჟღერებული ლოზუნგები ნათელყოფს, რომ საქმე უფრო მძიმედაა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. გამჭვირვალობის კანონი უკვე მხოლოდ ნიღაბია, მოთხოვნა უკვე ხელისუფლების გადადგომას ეხება. ერთი მოუსმინეთ ოპოზიციის კომენტატორებს, თუ როგორ არგევენ, სცემენ, შეურაცხყოფენ, მათ შორის გოგონებს ხელისუფლების ჯალათები, რა მტკიცედ დგანან საქართველოს იმედი ახალგაზრდები-სტუდენტები, მოსწავლეები სამშობლოს გათავისუფლებისათვის ბრძოლაში...**

ამ მრუმე, მძიმე დღეებში ერთი გამონათება მაინც იყო. 17 მაისს ოჯახის სიწმინდის დღეს თბილისი პირთამდე აივსო მოზეიმე ქალებით, კაცებით, ბავშვებით, ახალგაზრდებით და ხანდაზმულებით. ნამდვილი რეფერენდუმი იყო და ის თბილისის პარალელურად ბათუმში, ქუთაისში, რუსთავში, თელავში, ზუგდიდში, მესტიაში და სხვა ქალაქებშიც გაიმართა.

მაგრამ ეს ლამაზი დღე მოქალაქეებს მაინც შეუგინეს, ათასი სიბილწე შეუთითხნეს. მაგალითისთვის ერთიც კმარა. ცნობადმა მეძავმა ნანუკა ჟორჟოლიანმა ცინიკურად დაწერა: „დამთავრდა ოჯახის სიწმინდის დღე და კაცები წავიდნენ ბოზებში“.

ოპოზიციის წინააღმდეგობას მარჯვე ორგანიზატორი ჰყავს, რომელიც ჯერჯერობით ვიზუალურად არ ჩნდება, მაგრამ მისი საცეცები ყველგან იგრძნობა. სამაგიეროდ ჩანან ჩვენი ავი პარლამენტარები: ვაშაძე, ბოკუჩავა, სამადაშვილი, კორძაია, აქუბარდია... დიდი იმედი აქვთ, რომ მათი დაწყებული რევოლუცია გაიმარჯვებს და ვერ იაზრებენ, რომ რევოლუციას არსად და არასდროს მოუტანია სიკეთე.

მადლობა ღმერთს, ამ საყოველთაო გნიასში თავის საქმეს ბეჯითად აკეთებს ხელისუფლება. საყურადღებოა პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის „მიმართვა ახალგაზრდებს“, სადაც იგი მოტყუებულ ქალიშილებსა და ჭაბუკებს უხსნის მიმდინარე მოვლენების არსსა და შინაარსს. პრემიერმა წამოაყენა წინადადება, შეხვდეს პროტესტის მონაწილე ახალგაზრდებს და გულახდილად ესაუბროს მათ.

ასეთია ჩვენი დღევანდელობა-ხმაურიანი, „ჯოს-ჯოს!“ ძახილიანი, ქუჩებგადატენილი. მაგრამ, ამავე დროს, თვალნათლივ შეიმჩნევა „წნევის“ დაწევა, პროტესტის გამოხატვის ფორმათა ერთგვარი გაღარიბება...



**ალეკო ალანიშვილი**

# მაჩვენე რუკაზე თურქეთი და გეტყვი, ვინა ხარ შენ

**ერთთვიანი სასტიკი სიტყვიერი დაპირისპირებების, შემოლაწუნებებისა და თმებით დათრევების, მუშტი-კრივის, მუქარებისა და ლანძღვა-გინებების შემდეგ, ასევე ერთთვიანი ქუჩური საპროტესტო აქციების ფონზე, გასულ კვირას საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“.**

მარტივი ლოგიკიდან გამომდინარე, საპარლამენტო და ქუჩის პროტესტმა ამით აზრი დაკარგა (კანონი უკვე მიღებულია!) და იგი უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ასე არ მოხდა - საპარლამენტო ოპოზიციამ ახლა უკვე ქუჩაში გადაინაცვლა და მომიტინგეების მრავალრიცხოვან არმიას ოფიციალურად შეუერთდა.

მომავალში ისტორია უფრო დეტალურად გაარკვევს, მაგრამ უკვე დღესაც დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: ქართულმა ოპოზიციამ ჯერჯერობით უჩინარი გარე ძალის კატეგორიული დავალება ვერ შეასრულა და იძულებული გახდა, „ვა-ბანკზე“ წასულიყო.

**საბოლოოდ გაცხადდა ისიც, რომ „ანტირუსულით“ შენიღბული ამ ტრაგიკომიკური ვითარების შექმნა ემსახურებოდა არა კანონის მიღებაზე უარის თქმას, არამედ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას.**

იქნებ ვცდები კიდეც, მაგრამ თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს უახლესი ისტორიიდან ქუჩის ორმოცდღიანი უწყვეტი ანტისახელისუფლებო გამოსვლები არ მაგონდება.

ცივილიზებული სამყაროსთვის კიდევ უფრო უცნაური და უპრეცედენტო მოვლენაა გასულ კვირას რამდენიმე უცხო „მეგობარი“ ქვეყნის (ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი, ისლანდია, გერმანია) ერთობ მაღალჩინოსანი პერსონების ჩამოსვლა... საქართველოში მიმდინარე ისედაც უმწვავესი საპროტესტო გამოსვლების წასაქეზებლად.

თავად განსაჯეთ – „მეგობარი“ ქვეყნების მაღალი ჩინის პოლიტიკოსები ჩადიან უცხო ქვეყანაში, ხვდებიან იქაური რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლებს, სიტყვით გამოდიან ანტისამთავრობო მიტინგებზე და იქ შეკრებილ საზოგადოებას დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდებენ!

> **სამაგალითოდ, შემოგთავაზებთ ლიეტუვის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის ჟიგიმანტას პავილიონისის პასუხს ტელეიმედის ჟურნალისტის კითხვაზე, რატომაა ეს კანონი რუსული? „ვფიქრობ, ეს რამდენჯერმე უკვე ვთქვით, რომ არ შეიძლება მეგობრებს დაუძახო მტრები. თქვენ ვერ ნახავთ კანონს ევროკავშირში ან ნატოში, რომელიც მიმართულია მოკავშირეების წინააღმდეგ. ჩვენ პირიქით, ვიწვევთ ჩვენთან გერმანულ, ფრანგულ ან სკანდინავიურ ფონდებს. ჩვენ ვიცით, რომ ეს არის სწორედ ის, რაც საბჭოთა კავშირმა წაგვართვა – ჩვენი დემოკრატიის ხარისხი. ეს დემოკრატიის ხარისხი კი იქმნება სამოქალაქო საზოგადოების მიერ. თუ თქვენ მოკლავთ სამოქალაქო საზოგადოებას, თქვენ ისევ საბჭოთა რეჟიმს დაუბრუნდებით. ეს პუტინისტური ინფექციაა, რომელიც ასე ვრცელდება. პუტინის მეთოდია ქვეყნის გაწმენდა ლიბერალური დემოკრატიისგან“ ...**

მიტინგზე სიტყვით გამოსული ლატვიელი „მეგობარი“ საქართველოს მმართველ პარტიას „ქართულ კომმარად“ მოიხსენიებს და გვამუნათებს: „ძვირფასო ქართველო ხალხო! გისმენთ და თქვენ გვერდით ვართ საქართველოს ევროპული მომავლისთვის ბრძოლაში. არავის აქვს უფლება, წაგართვათ თქვენი ევროპული ოცნება. არავის აქვს უფლება, ჩააჩუმოს ხალხის ნება, რომ იცხოვრონ ევროპული ღირებულე-ბებით.“



აქვე ჩვენი ბალტიისპირელი „მეგობრების“ კიდევ ერთი შეგონება გავიხსენოთ – ევროკავშირში შესვლა, თურმე, ჩვენი ქვეყნის სუვერენული უფლებების ევროკავშირის სასარგებლოდ დათმობას ნიშნავს და ჩვენ (საქართველო) ამისთვის მზად უნდა ვიყოთ. თუ, რა თქმა უნდა, გაევროპელებაზე ისევ ვოცნებობთ.

> **ამის შემხედვარე, მოდი და, ნუ დაიჯერებ გასულ კვირაშივე გავრცელებულ ჭორს, რომ ეს პატივცემული „მეგობარი“ პოლიტიკოსები დავით კეზერაშვილმა დაიქირავა, საქართველოში ვიზიტისთვის თითოეულს 50 000 დოლარი გადაუხადა და მიტინგზე სიტყვით გამოსვლისთვის კი პრემიის სახით კიდევ 50 ათასს დაპირდა. საქართველოს და, განსაკუთრებით, კეზერაშვილ-ხაზეიშვილის სიყვარულით დაბრმავებულმა „მეგობრებმაც“ დავალება პირნათლად შეასრულეს!**

მე თუ მკითხავთ, ასეთი გამოსვლების ავტორები, თუნდაც ყოვლად ევროპელები იყვნენ, საქართველოს ხელისუფლებამ „პერსონა ნონ გრატად“ უნდა გამოაცხადოს და ჩვენს ქვეყანაში შემოსვლა სამუდამოდ აუკრძალოს!

გასულ კვირას (სავარაუდოდ, მოვლენათა მსვლელობაზე დაკვირვების მიზნით) საქართველოში იმყოფებოდა ჩვენი დიდი ოკეანისგაღმელი „მეგობარი“, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ჯეიმს ო’ბრაიენი. თავისი ევროპელი კოლეგებისგან განსხვავებით, იგი საქართველოს ხელისუფლების უმაღლეს ჩინებსაც შეხვდა. შეხვედრების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზეც გამოვიდა და ჟურნალისტების ორიოდე შეკითხვას ნაწილობრივ, მაგრამ მაინც, უპასუხა. დაგვარიგა კიდეც, როგორც „ალფა“ ასაკის ბავშვებს შეეფერება. დაგვპირდა, რომ თუ ჭკუით იქნებით, ჩვენს დაუკითხავად სხვის ბაღში არ გადაიპარებით, ისევ ისე, ძველებურად ვიმეგობრებთ და დაგეხმარებითო. თუ იცელქებთ (არა, ეს სიტყვა არ უთქვამს!), არც ფინანსურად დაგეხმარებით და არც ამერიკაში შემოგიშვებთო. რა თქმა უნდა, არც ის უთქვამს, ყველა იმ მუქარას აგისრულებთ, რასაც ქალბატონი თინა ბოკუჩავა და ბატონი ხაზე გპირდებათო.

ბარემ აქვე თეთრი სახლის პრესსპიკერის, კარინ ჟან პიერისა და 11 ამერიკელი სენატორის განცხადებებიც გავიხსენოთ: „ეს („უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი) გვაიძულებს საქართველოსთან ურთიერთობა ფუნდამენტურად გადავაფასოთ“. „საქართველოს დემოკრატიისთვის შავი დღეა...ამ კანონპროექტის დამტკიცება კონგრესს აიძულებს განიხილოს ცვლილება აშშ-ის პოლიტიკაში საქართველოს მიმართ“.

> **ერთობ დამაფიქრებელია 14 მაისს BBC-ის მთავარ გვერდზე გამოქვეყნებული ოცდაორი, მათ შორის, ოთხი ქართული წარმომავლობის საერთაშორისო კორესპონდენტისა და პოლიტიკოსის განცხადებები. როგორც მოსალოდნელი იყო, ყველა მათგანი შეიცავს მუქარას, კანონის უკან გაწვევის მოთხოვნას, ჭკუის დარიგებას და, რა თქმა უნდა, დაპირებებს. განსაკუთრებული ღვარძლიით საკუთარი სამშობლოს მიმართ ქართველები გამოირჩევიან...**

**არც ერთ კორესპონდენტსა და პოლიტიკოსს არაფერი უთქვამს გამჭვირვალობის კანონის შინაარსზე. მხოლოდ ევროპელ ჟურნალისტს ლაურა გოთსს წამოსცდა, რომ „გამჭვირვალობის კანონი იძულებულს გახდის არასამთავრობო ორგანიზაციებს გაუმხილონ ხელისუფლებას („მეგობარი“) დასავლეთის საიდუმლო დავალებების შესახებ“.**

**ვფიქრობ, კომენტარი ზედმეტია. მოდი, დიდი ილია გავიხსენოთ:**

**ევროპის პოლიტიკაში არც სამართლიანობას და არც ზნეობას კუთვნილი ადგილი არ უჭირავს და ყოველივე გამორჩენასა და ანგარიშს ექვემდებარება. და კიდევ – როდესაც სიწმინდეს გიგინებენ და შენ ხმას არ იღებ, როდესაც სოდომიზაციას გთავაზობენ და შენ ეს არ გაწუხებს, და პირიქით, მაგათ მხარს უჭერ, ფარისეველი ხარ, აბა, რანაირი ქრისტიანი ხარ?**

გასულ კვირას ისევ გრძელდებოდა უკომპრომისო კამათი „რუსული“ კანონისა და საქართველოს მომავალზე მისი დამღუპველი გავლენის შესახებ. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ მხრივ, ორიგინალობით გამოირჩა მწერალი დათო ტურაშვილი. მისი ემოციური სატელევიზიო გამოსვლის თანახმად, ამ „რუსული კანონის“ მიღება საქართველოში თავიდან აამოქმედებს „ჩაშვების ინსტიტუტს“, დააბრუნებს 37 წელს და დაღუპავს საქართველოს. და თურმე ამის დასტურია კანონის მესამე მუხლი. სხვათა შორის, დათო ერთადერთია, ვინც კანონის კონკრეტულ მუხლზე მიუთითა და დიდი მადლობა მას ამისთვის. მართალია, მას, რატი ამაღლობელს, ლაშა ბუღაძეს, სხვა გამოჩენილ მწერლებს და „პროსტა“ (ამ სიტყვას ჩემთვის რუსეთუმეობის დამბრალებლებისთვის საქმის გასაიოლებლად ვწერ!) მოღვაწეებს ტყუილიც დაეჯერებათ, მაგრამ აგერ ბატონო, კანონის ეს ოხერი მესამე მუხლი და იქნებ ამიხსნათ ვინმემ მე, უბირ არამწერალს და არაგამოჩენილს, სად ჩანს აქ ჩაშვება და 37 წელი:

> **„მუხლი 3. უცხოური ძალა. ამ კანონის მიზნებისთვის უცხოური ძალა არის: ა) უცხო სახელმწიფოს ხელისუფლების სისტემის შემადგენელი სუბიექტი; ბ) ფიზიკური პირი, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე; გ) იურიდიული პირი, რომელიც არ არის დაფუძნებული საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე; დ) ისეთი ორგანიზაციული წარმონაქმნი (მათ შორის, ფონდი, ასოციაცია, კორპორაცია, კავშირი, სხვა სახის ორგანიზაცია) ან პირთა სხვა სახის გაერთიანება, რომელიც დაფუძნებულია უცხო სახელმწიფოს სამართლის ან/და საერთაშორისო სამართლის საფუძველზე.“**

სავარაუდოდ, ცნობილი მწერალი და ქართველობის უკომპრომისო დამცველი კანონის მესამე კი არა, მერვე მუხლს, კერძოდ, მის მეორე პუნქტს გულისხმობდა:

**მონიტორინგის დაწყების საფუძველია: ა) საქართველოს იუსტიციის**



**...მოდი და, ნუ დაიჯერებ გასულ კვირაშივე გავრცელებულ ჭორს, რომ ეს პატივცემული „მეგობარი“ პოლიტიკოსები დავით კეზერაშვილმა დაიქირავა, საქართველოში ვიზიტისთვის თითოეულს 50 000 დოლარი გადაუხადა და მიტინგზე სიტყვით გამოსვლისთვის კი პრემიის სახით კიდევ 50 ათასს დაპირდა. საქართველოს და, განსაკუთრებით, კეზერაშვილ-ხაზეიშვილის სიყვარულით დაბრმავებულმა „მეგობრებმაც“ დავალება პირნათლად შეასრულეს!**



**სამინისტროს შესაბამისი უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილება; ბ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთვის წარდგენილი წერილობითი განცხადება, რომელიც შეიცავს კონკრეტულ უცხოური გავლენის აგენტთან დაკავშირებულ სათანადო მინიშნებას.**

**კი ბატონო, ეს არის „ჩაშვება“ და 37 წელი, მაგრამ მაშინ ისიც უნდა ვთქვათ, რა შეიძლება იყოს მონიტორინგის დაწყების საფუძველი - იქნებ ლელა კაკულიას, ან ვინმე სხვა ყოვლად სანდო მჩხიბავის წინასწარმეტყველება?**

* * *

**მართალია,** გასულ კვირას კვლავ გრძელდებოდა ანტისახელისუფლო ლოზუნგებით გაჟღენთილი დემონსტრაცია-მიტინგები, მაგრამ 17 მაისს რუსთაველის პროსპექტზე საპატრიარქოს ინიციატივით ოჯახის სიწმინდისა და მშობელთა პატივისცემის დღისადმი მიძღვნილი გრანდიოზული შეკრებაც გაიმართა – ლოცვებით, გალობებით, ჯვრებით, ხატებით, ქართული დროშებით, ქართული ხალხური მრავალხმიანი სიმღერებით, საპატრიარქოსა და ხელისუფლების წარმომადგენელთა მონაწილეობით. არ ყოფილა ხელისუფლების დამცველი ან მისი საწინააღმდეგო გამოსვლები. განსაკუთრებით საყურადღებო გახლდათ მისი უწმინდესობის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის მოწოდება, რომ მშვიდობიანი მოლაპარაკებით ყველა უთანხმოების დაძლევა შესაძლებელია.

დაახლოებით დღის ორი საათისთვის შეკრების მონაწილეებმა სამების ტაძრისკენ გადაინაცვლეს.

**ეს მართლაც გრანდიოზული შეკრება იმის დასტურიც იყო, რომ საქართველო არ არის მხოლოდ ოპოზიციის დაძახილზე ევროკავშირის დროშების ფრიალით ქუჩაში გამოსული ხალხი. იმედია, ამას ტელეკომპანია „მთავარის“ სტუდიაში შეყუჟული ქალბატონი სამადაშვილი და თავის სასახლეში გამოკეტილი ქალბატონი პრეზიდენტიც შენიშნავდა, ან ვინმე უჩურჩულებდათ მაინც. ჩვენი ევროპელი დამრიგებელ-დამშინებელი „მეგობრებიც“ დაინახავდნენ და შესაბამის დასკვნებსაც გამოიტანდნენ.**

ანალოგიური ხალხმრავალი შეკრებები გაიმართა ქუთაისში, ბათუმში, რუსთავში, გორში, თელავში და საქართველოს სხვა ქალაქებში.

ბარემ აქვე მოგახსენებთ, რომ გასულ კვირას გავრცელდა საქართველოს 38 უნივერსიტეტის განცხადება საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით:

„მიგვაჩნია, რომ ნებისმიერი პოლიტიკური პროცესი არ უნდა აისახოს უნივერსიტეტების ფუნქციონირებასა და სწავლა-სწავლების წარმართვაზე. ჩვენთვის ფუნდამენტურად ღირებულია გამოხატვის თავისუფლების გარანტირება. მიუღებელია, რომ აკადემიური პერსონალის ზოგიერთი წარმომადგენელი უარს აცხადებს მოვალეობის შესრულებაზე. ამით ხელი ეშლება სასწავლო პროცესის წარმართვას, არღვევს სტუდენტის კონსტიტუციურ უფლებას. აკადემიური პერსონალის ლექციებზე გამოუცხადებლობა არის არა მხოლოდ უნივერსიტეტებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების დარღვევა, არამედ უშუალოდ აზარალებს სტუდენტთა ინტერესებს. თუკი ჩვენი განზრახვაა უკეთესი საქართველო, ამის მიღწევის ერთადერთი და საუკეთესო საშუალებაა ხარისხიანი განათლების მიღება. ჩვენთვის მიუღებელია უნივერსიტეტების სახელით გარკვეული ჯგუფების მიერ პოლიტიკური განცხადებების გაკეთება. თითოეული ჩვენგანის ვალია, ერთად უზრუნველვყოთ ჩვენი სტუდენტებისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემო, რაც დღეს საქართველოს ევროინტეგრაციისკენ მიმავალ გზაზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია“.

ისიც სათქმელია, რომ საქართველოში მოქმედი კიდევ ოცამდე უმაღლესი სასწავლებელი სხვადასხვა მიზეზით ამ მიმართვას არ შეუერთდა.

რა თქმა უნდა, მათ შორისაა სააკაშვილზე დღემდე თავდავიწყებით შეყვარებული „ილიაუნი“ (ყოფილი პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი).

გასულ კვირას (17 მაისის გარდა) შედარებით მშვიდად, მაგრამ მაინც გრძელდებოდა საპროტესტო მსვლელობა-მიტინგები თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში. აშკარად გამოჩნდა, რომ ოპოზიცია და მისი აწ უკვე არცთუ საიდუმლოებით მოცული მმართველი ძალა დააბნია საკმაოდ ხალხმრავალი და აგრესიული დემონსტრაციების წარუმატებლობამ – გამჭვირვალობის კანონის მიღებით მათ ლოზუნგს „არა რუსულ კანონს“ საფუძველი გამოეცალა. დარჩა ერთადერთი – ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლა ისევ და ისევ ცრუ დაპირებებით ქუჩაში გამოტყუებული ახალგაზრდების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხარჯზე.

ამის დასტურია უკვე რამდენჯერ გადამღერებული ბოლშევიკური შეძახილები სახელმწიფო გადატრიალებაზე, რევოლუციაზე, კოალიციურ თუ რაღაც მითიურ „ტექნიკურ“ მთავრობაზე. ხელისუფლებისთვის, ალბათ, ყველაზე შემაშფოთებელი იქნებოდა ქალბატონი თაკოს (ჩარკვიანი) ისტერიკული მოწოდება ახალი ფერადი რევოლუციისკენ. ხუმრობა საქმე ხომ არ არის - თაკომ, რუსთაველზე ლეიბები გავშალოთ და ზედ წამოვგორდეთო კი არა, სოროს-სააკაშვილის 2003 წლის „ვარდების რევოლუცია“გავიმეოროთო!

სავარაუდოდ, საპროტესტო მიტინგებისა და, საერთოდ, რევოლუციური ვითარების უსასრულოდ განგრძობაზე მისი დამფინანსებლებიც უნდა დაფიქრებულიყვნენ - ყველაფერი ეს ძალიან, ძალიან სერიოზულ ფინანსებს მოითხოვს. საუბარია ასეულ მილიონობით, მილიარდობით დოლარზე. თუ მტკიცე, დასაბუთებული გარანტიები არ იქნება, ფულს რევოლუცია-გადატრიალებაში არავინ ჩადებს.

თანაც, არსებობს იმის რეალური საშიშროებაც, რომ ქართველი ახალგაზრდობა ერთსა და იმავე სატყუარას ზედიზედ ორჯერ არ წამოეგება.

ეტყობა, ამას გრძნობს პრეზიდენტი ზურაბიშვილიც, რომელმაც გასულ კვირას მამაცურად განაცხადა, სახელმწიფო გადატრიალების მომზადებას და ოპოზიციურ კოალიციას ამიერიდან პირადად ვუსარდლებო (მთავარსარდლობა ხომ თანამდებობრივადაც ეკუთვნის!).

ისე, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, მართლაც უცნაურია – რევოლუციისკენ, სახელმწიფო გადატრიალებისკენ მოუწოდებს პრეზიდენტი და რუსეთუმე ვარ მე, საქართველოზე მოფიქრალი, მშვიდობისმოყვარე მოქალაქე!

* * *

**ახლა, ძალიან მოკლედ იმაზე, რითიც, წესით, უნდა დამეწყო.**

გასულ კვირას გაიმართა საქართველოს პრემიერის ვიზიტი თურქეთში. პრეზიდენტმა რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა ირაკლი კობახიძე ხაზგასმული პატივისცემით მიიღო. საუბარი შეეხო თურქეთ-საქართველოს სტრატეგიულ თანამშრომლობას, სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებას, საერთაშორისო ასპარეზზე შექმნილ ურთიერთობებს, სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის გადაწყვეტას, საქართველოს როლს რეგიონულ პოლიტიკაში.

ამ უმნიშვნელოვანესი შეხვედრის ოპოზიციური შეფასება დაახლოებით ასეთი იყო: თქვენ ალაოდ ხო არა ხართ, რა თურქეთი, რი თურქეთი, ჯერ ჩვენს „პრიბალტიკელ“ კეთილისმყოფელებს მოუსმინეთ და ისა ჰქმენით, რასაც ისინი გეუბნებიანო.

**ვწუხვარ, მაგრამ ჩვენს ოპოზიციონერ კეთილებს თურქეთის შესაძლებლობებზე, მის საერთაშორისო გავლენასა და ავტორიტეტზე წარმოდგენაც არა აქვთ, ჩვენი კარის მეზობელი 85-მილიონიანი თურქეთი რუკაზეც არ უნახავთ და იგი ჩრდილოეთში გადაკარგული ცხელი ჩანჩქერებისა და ყინულოვანი კლდეების სამშობლო ისლანდიაში ერევათ.**

**ოპოზიციის ყურადღების მიღმა დარჩა, ეკონომიკური თვალსაზრისით მსოფლიოს მეორე სახელმწიფოს, მილიარდნახევრიანი ჩინეთისა და ჩვენი კარის მეზობლის, მსოფლიოს ერთი ყველაზე საშიში ქვეყნის, რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრა გასულ კვირას. ის შეხვედრა, რომელსაც მთელი ცივილიზებული სამყარო სუნთქვაშეკრული ადევნებდა თვალყურს.**

**როგორც ჩანს, ქართულ ოპოზიციას რუკაზე რუსეთის მდებარეობაც დაავიწყდა.**



**თეიმურაზ ქორიძე**
19. 05. 2024

**რაც ჩვენი ხალხისთვის მიუღებელია**

# ევროპული ცივილიზაცია კრიზისშია!

**გოლო** წლების განვლობაში საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ერთგულება ევროპული და ევროატლანტიკური ღირებულებების მიმართ, თუმცა ამის მიუხედავად დასავლეთი საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებას აწყობს, რასაც ადასტურებს ანტისამთავრობო საპროტესტო აქციაში უცხოელი პოლიტიკოსების მონაწილეობა. გარდა ამისა, საპროტესტო აქციის ორგანიზატორები არიან ამერიკის მოქალაქეები, რომლებიც აკერმანის ორგანიზაციას წარმოადგენენ.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, იმის სიმპტომიცაა, რომ რუსეთის მთავრობამ თავის ყველაზე მწვავე ოპონენტებს მსოფლმხედველობის ნაწილი გადასდო. როგორც შალვა პაპუაშვილი აღნიშნავს, ბალტიელი პარტნიორების მთავრობებში ზოგიერთი მეტისმეტად შორს გაიტაცა საკუთარმა რიტორიკამ, სამყაროს შავ-თეთრად წარმოდგენამ ისინი მიიყვანა მდგომარეობამდე, რომელშიც ყველა, ვინც მათ რიტორიკას არ ეთანხმება, ავტომატურად, მტრად იქცევა.



ამ პრობლემებზე გვესაუბრება ფსიქოლოგი და ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე.**

**– ბატონო რამაზ, როგორ შეიძლება აიხსნას დასავლელი პოლიტიკოსების მონაწილეობა ანტისახელისუფლებო აქციებში?**

– თანამედროვე ევროპამ ბევრი არასწორი ნაბიჯი გადადგა. გავიხსენოთ მაკრონის პოზიცია, საერთოდ ეჭვის ქვეშ აყენებდა ჩრდილოატლანტიკურ გაერთიანებას, მაგრამ თითქმის ყველა მხრიდან არის ევროპის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება. აგერ, ინგლისი საერთოდ გავიდა ევროკავშირიდან. საყურადღებოა ის, რომ ევროპას ბევრი მხრივ აქვს კრიზისი, დღეს, ევროპული ცივილიზაცია კრიზისშია. ამას თავისი ფილოსოფიური-პოლიტიკური და სხვადასხვა, მათ შორის ეკონომიკური ასპექტები აქვს. ნუ გამოვეკიდებით ძალიან მკაცრად, თუმცა გვქონდეს მკაფიო პოზიცია. კრიზისში მყოფი ევროპის ყველა ნათქვამის მიღება დაუშვებელია ყველასთვის და მათ შორის ქართველი საზოგადოებისთვის.

**– როგორ ფიქრობთ, ევროპა ვერ ხვდება, რა არის მისთვის სასარგებლო ან მავნებელი?**

– არა, ვერ ხვდება და ამიტომ ადგამს ამ ნაბიჯებს, რომელიც ანტიევროპულ განწყობილებას ზრდის მთელ მსოფლიოში. ამერიკაც იგივეს აკეთებს და ვერ ხვდებიან, რომ ანტიდასავლური განწყობები თუკი გაძლიერდა, დასავლეთს მთელი ხიბლი დაეკარგება და მასზე ორიენტაცია მხოლოდ ისეთი იქნება, როგორც მუსულმან მიგრანტებს აქვთ - ფული წაგლიჯონ ევროპას და მერე იცხოვრონ მხოლოდ თავისი წესის და რიგის მიხედვით, რასაც აკეთებენ კიდეც მუსულმანი მიგრანტები და დასავლეთი მათ წინაშე უძლურია. ეს მუსულმანები ისევე ცხოვრობენ, როგორც თავ-თავიანთ ქვეყნებში. აი, ეს ევროპა, რომელმაც ვერ მოახერხა მუსულმანების პრობლემის მოგვარება თავისთან, აქეთ, ჩვენ გვასწავლის როგორ უნდა ვიცხოვროთ და ამაზე სერიოზული რეაქციის მიცემა მგონია, რომ არ შეიძლება. ღიმილით უნდა გაატარო და დაუცადო, სანამ უფრო გონიერ სტრატეგიაზე არ გადავლენ. დღეისთვის დასავლეთის სტრატეგია მათთვისვე დამღუპველია და არაფერს ვამბობ იმაზე, რომ მიუღებელია ჩვენთვის.

**– პრაქტიკულად, მთელი დასავლეთი მუშაობს იმაზე, რაც კიდევ უფრო მიუღებელია საზოგადოებისთვის და ჩვენს შემთხვევაში ეს კარგად ჩანს, ანტიევროპულ განწყობას ხელს უწყობს თავად დასავლეთი...**

– და, აი ეს დემოკრატიის დამცველი დასავლეთი დღეს შენს პოლიტიკაში ერევა. მიგითითებს, რა კანონი უნდა მიიღო და რა არა, ხელისუფლებაში ვინ უნდა გყავდეს და ვინ არა. მთელი ეს ორომტრიალი ხომ იმისთვის არის ახლა მოწყობილი, რომ უნდათ შეცვალონ ხელისუფლება და ყავდეთ ის პოლიტიკური ძალა, რომელთანაც ამ ხნის განმავლობაში პრობლემა არ ჰქონიათ. 9 წელი იყო ხელისუფლებაში „ნაციონლური მოძრაობა“ და ერთი შენიშვნა არ თქმულა ხმამაღლა. ადამიანის უფლებათა დაცვაზე ლაპარაკი ზედმეტია, საერთოდ. ყველა განწირული იყო გარშემო, რამაც 2012 წელს, მთელი ერი დააყენა საარჩევნო ყუთებთან. მთელი ერის ამ გადაწყვეტილებასაც აღარ სცემენ პატივს და რახან თვლიან, რომ მათთვის უფრო ხელსაყრელი იქნება „ნაციონალური მოძრაობის“ მოსვლა ხელისუფლებაში, დემოკრატიის სტანდარტებს, ეთიკას დიპლომატიურს, თუ პოლიტიკურს უკვე აღარ აქცევენ ყურადღებას და იქცევიან ყოველგვარი ეთიკის გარეშე. მაგრამ ვიმეორებ, დღეს ისინი ძალიან ცუდ დღეში არიან თვითონ, არ უწყიან რას შვრებიან და ამიტომ მათთზე სერიოზული რეაქციის მიცემა, მე მგონია, არაა გამართლებული, თუმცა აუცილებელია პრინციპული პოზიციის ჩვენება. ის, რასაც ისინი აკეთებენ საქართველოსთვის, ქართველი ხალხის დიდი ნაწილისთვის კატეგორიულად მიუღებელია.

## კვირის ციტატა

**ვალერი ასათიანი:**

### ეს არავითარი „რუსული კანონი“ არ არის — ეს ქართული კანონია!



**– ის, რაც ხდება, საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის არის მიუღებელი იმ თვალსაზრისით, რომ ეს არავითარი „რუსული კანონი“ არ არის - ეს ქართული კანონია. ეს არის საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობისთვის საჭირო კანონი, რომელიც ყველა მოვლენას თავის სახელს დაარქმევს. ადამიანი როდესაც კეთილ საქმეს აკეთებს, მას არ მოერიდება, რომ დადასტურდეს, გამოვლინდეს, ის, რასაც აკეთებს. ამდენად, გამჭვირვალობა, შესაძლოა საბაბი იყოს. მიზეზები აქ ალბათ, სხვა არის, სხვაგან დევს. ყველა შემთხვევაში, ახლა რეცეპტი არ არსებობს. ჩვენ ისეთ ეპოქაში ვცხოვრობთ, რაიმეს პროგნოზირება ძალიან ძნელია, ეს ძალიან უმადური საქმეა, თუმცა ყველა შემთხვევაში საჭიროა დიალოგი, უნდა მოიძებნოს ერთმანეთისკენ სავალი გზები, რადგან ისინი არიან ჩვენი შვილები, ახლობლები, ნათესავები, მეგობრები, სტუდენტები და ასე შემდეგ... უმეტესობა იმის მომხრეა, რომ ნებისმიერი თემა უნდა განიხილებოდეს საჯაროდ. დიდაქტიკურად რაიმეს თავს მოხვევა კი დაუშვებელია. ამას ერი არ შეეგუება. არის თემები, რომელსაც ქართველი კაცი და საქართველო ვერასდროს შეეგუება.**

# ბატონო პრემიერო, დაყოვნების დრო აღარ არის!

## ღია წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ირაკლი კობახიძეს



### ბატონო პრემიერო!

**თქვენმა გამოსვლამ უნგრეთის რესპუბლიკაში ტრადიციულ ეროვნულ ღირებულებათა დაცვის ლოზუნგით გამართულ ფორუმზე და საქართველოს პარლამენტში ჩამოყალიბებული ფრაქციის ,,ხალხის ძალის“ მიერ გამოქვეყნებულმა განცხადებამ იმედი მოგვცა იმისა, რომ ნეოლიბერალური მარაზმი, რომელსაც ცხონებულმა რეიგანმა ნეოლიბერალური ფაშიზმი უწოდა, საქართველოში ვერ იბოგინებს, ეს უსამშობლო ე.წ. ოპოზიცია ქართულ ეროვნულ ცნობიერებას ვერ წალეკავს.**

მოგიწოდებთ, ბატონო პრემიერო, სასწრაფოდ გადადგათ კონკრეტული ნაბიჯები საიმისოდ, რომ ფსევდოლიბერალური ვირუსით გამოწვეული პანდემია შეჩერდეს და საბოლოოდ ამოიშანთოს.

პირველ ყოვლისა უნდა გადავარჩინოთ მომავალი თაობა, თორემ ნატა ფერაძეებს, ზურაბ გირჩი-ჯაფარიძეებს, სტაჟიან ფსიქიკურად დაავადებულ უზნეოებს, რომელთა უმრავლესობა საპარლამენტო ოპოზიციაშია, უკვე აღარაფერი ეშველებათ.

აუცილებლად მიმაჩნია სკოლა გახდეს ზნეობისა და ეროვნული ცნობიერების დაცვისთვის ბრძოლის ფორპოსტი.

ის ახალგაზრდები, რომლებიც ე.წ. მოლოტოვის კოქტეილებით წავიდნენ პოლიციელებს, პარლამენტში განსახილველ კანონს აპროტესტებდნენ და ახლაც პერმანენტულ აქციებზე დგანან და კვლავაც აპროტესტებენ იმ კანონებს, რომლის შინაარსზე წარმოდგენაც არ აქვთ, ევროპა საკუთარი „შინ“ ჰგონიათ და შინ გვინდა დაბრუნებაო, გლავიან, სწორედ ჩვენი საგანმანათლებლო სისტემის პროდუქტია, სისტემისა, რომელმაც უარი თქვა მოზარდი თაობის აღზრდაზე, რადგან აღზრდა, ღმერთგამწყრალი ნეოლიბერალების ზეგავლენით, პიროვნებაზე ძალადობად მიაჩნიათ.

სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებშიც უვიცობის ბუმია, რადგან ღმერთგამწყრალი და უსამშობლო ,,ავტორიტეტები”, ვის ხელშიც არის ახლანდელი განათლების სადავეები, მცოდნე და ზნეობრივ თაობას ვერ გაზრდის.

ეროვნული განათლების სისტემის აღზრდილ ახალგაზრდობას, ეს ჭკუათხელი და უვიცი ენჯეოაქტივისტები თავიანთი სულელურად მარტივი დემაგოგიით ქუჩაში ვერ გამოიყვანს. ამიტომ, ბატონო პრემიერო, აუცილებლად მიმაჩნია განათლების სამინისტრომ დაუყოვნებლივ აღადგინოს აღზრდის სისტემა და აღზრდა მიჩნეულ იქნას სკოლის უპირველეს პრიორიტეტად. საამისოდ გამოყენებული უნდა იქნას აღზრდის არსებული გამოცდილება, ის მდიდარი თეორიული მემკვიდრეობა, რომელიც ცნობილმა ქართველმა პედაგოგებმა და ფსიქოლოგებმა შექმნეს. ზოგიერთი მათგანი ჯერ კიდევ ცოცხალია. უამისოდ თაობის ზნეობრივ-პატრიოტულ აღზრდაზე ლაპარაკი ფარისევლობა და დიდი სიბრიყვეა.

ასევე სასიცოცხლოდ აუცილებელია განათლების სამინისტროს მიერ გახმაურებული ინიციატივა სკოლის დეცენტრალიზაციის შესახებ, მიჩნეულ იქნას სერიოზულ ზეწოლად ქართული საგანმანათლებლო სისტემის მიმართ.

ბატონო პრემიერო! **ჯერ ერთი,** ამერიკის შეერთებული შტატების საგანმანათლებლო გამოცდილება ჩვენთვის და სხვა ეროვნული სახელმწიფოებისთვის სრულიად მიუღებელია, სწავლების მეთოდიკაში გარკვეული სიახლეების გამოკლებით და, **მეორე;** სრული სიცრუეა ის, რომ აშშ-ში სკოლების დიდი უმრავლესობა კერძო სასწავლო დაწესებულებაა. სინამდვილეში არა სახელმწიფო, ანუ კერძო სკოლების რაოდენობა მხოლოდ შვიდი (7) პროცენტია. ამასთან, განათლების სისტემის დეცენტრალიზაცია ე.წ. კერძო სკოლების რაოდენობის სიმრავლეს არ ნიშნავს, ამის განმარტებით თავს არ შეგაწყენთ.

**ახლა, მხოლოდ თქვენი ხელისუფლების იმედზეღა ვრჩებით, რადგან ის სტრუქტურები და ინსტანციები, რომლებიც თავის დროზე არსებობდა – იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, პედაგოგიკის კათედრები, პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლები ან განადგურებულია, ან დემორალიზებულია და ნეოლიბერალურ მარაზმს, რომელიც მალე წარღვნად იქცევა, წინააღმდეგობას ვერ უწევს.**

თქვენც კარგად იცით, ბატონო პრემიერო, რომ დაყოვნების დრო აღარ გვაქვს!

* * *

**ბატონო** პრემიერო, გავკადნიერდები და შეგახსენებთ ერთ ისტორიულ ფაქტს, რაც სასკოლო განათლების დიდ სახელმწიფოებრივ-ეროვნულ მნიშვნელობაზე ღაღადებს.

XIX საუკუნეში, როდესაც გერმანიამ მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ომი მოუგო საფრანგეთს, ,,რკინის კანცლერმა“ ოტო ბისმარკმა მადლობა გადაუხადა არა გენერლებს, არამედ სოფლის სკოლის გერმანელ მასწავლებლებს, რომლებმაც აღზარდეს ქვეყნისთვის თავდადებული, პატრიოტი თაობა!

ჭკვიანი კაცი იყო ოტო ბისმარკი! დამეთანხმებით, ალბათ!



**ზურაბ ცუცქირიძე,**
პედაგოგიკის დოქტორი,
ჰუმანური პედაგოგიკის რაინდი,
ღირსების ორდენის კავალერი.
ტელ: 555 56-75-37

---



### რექტორი

# ლიდერებად იბადებიან

**გამჭვირვალობის** შესახებ კანონის დამტკიცების გაჭიანურებულმა პროცედურამ ერთი კარგი საქმეც გააკეთა – კერძოდ, აზვირთებული სტუდენტური საპროტესტო მოძრაობის პარალელურად, საზოგადოებამ უფრო კარგად გაიცნო, თუ ვისი ხელმძღვანელობით იღებს უმაღლეს განათლებას ჩვენი მომავალი თაობა.

აქ მხოლოდ ვიწრო სპეციალიზაციას როდი ვგულისხმობ – უპირველესად, საუბარია ქვეყნის წამყვან უმაღლეს სასწავლებელთა რექტორების პიროვნულ ღირსებებზე, რაც თავისთავად უფრო მეტ წონას სძენს მათ თითოეულ სიტყვას, ლიდერის ავტორიტეტი კი, მოგეხსენებათ, დაუღვინებელ, ჯერაც მაჭარივით მდუღარე ყმაწვილებს, ბოლოს და ბოლოს, თეთრისა და შავის გარჩევაში უნდა დაეხმაროს.

ამ დღეებში ტელეეთერში რამდენჯერმე გამოჩნდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი **დავით გურგენიძე** და სათქმელი მიუკიბ-მოუკიბავად, პირდაპირ თქვა – კი, ბატონო, აქციებზე იარეთ, ვინ გიშლით, ოღონდ არავითარი გაფიცვა და აკადემიური პროცესის ჩაშლაო.

დაუკვირდით – ასეთ თამამ განცხადებას აკეთებს დაახლოებით 30-ათასიანი რთულად სამართავი, მაგრამ მაინც ერთ მუშტად შეკრული ორგანიზმის თმაშევერცხლილი თავკაცი და იცით, რატომ? იმიტომ, რომ აბსოლუტურად მართალია, რადგან ზურგს უახლესი წარსულის მძიმე გამოცდილება უმაგრებს, რასაც არც მალავს:

– დიახ, მეც ტექნიკური ინტელიგენციის სამჭედლო „გეპეი“ დავამთავრე და 80-იანი წლების ბოლოსაც არანაკლებ მღელვარე დღეები გადავიტანეთო.

მეტიც, ჩემი პოზიცია, რომ კანონი რუსული კი არა, ქართული და ევროპულია, არამარტო ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის წინ შეკრებილი ჟურნალისტების წინაშე გამოვხატე, არამედ რუსთაველზეც, სადაც სტუდენტებთან მივედი. საერთოდ, მიმაჩნია, რომ გამოსავლის საპოვნელად დიალოგი საუკეთესო საშუალებაა, თუ არა და რამდენიმე თვე მოითმინონ ოპონენტებმა, ოქტომბერში მოიგონ საპარლამენტო არჩევნები და კანონის შეცვლას რაღა უნდა?!

ზემოთ ევროპა ვახსენეთ და ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩვენ ევროპის უნივერსიტეტების გაერთიანებული სტრუქტურის წევრები ვართ და სისტემატური კონტაქტი გვაქვს იქაურ კოლეგებთან. ასე რომ, არაფერი გვიკვირს...

სხვათა შორის, არც მე მიკვირს, უკვე საუკუნეს გადაცილებულ სტუ-ს ასეთი რექტორი რომ ჰყავს. ამაში დამეთანხმება ყველა, ვისაც ხვდა პატივი, პირადად სცნობოდა მისი მშობლები, სამაგალითოდ რომ უძღვებოდნენ ოჯახსაც და პროფესიულ მოღვაწეობასაც.

და ბოლოს: **„– მე ვამაყობ, რომ მთელი საქართველო და პოსტსაბჭოთა სივრცის მრავალი სტრატეგიული ობიექტი სტუ-ს კურსდამთავრებულთა აშენებულია“**. ესეც აკადემიკოს დავით გურგენიძის სიტყვებია.

**გია პლატონიშვილი**



**კი, ბატონო, აქციებზე იარეთ, ვინ გიშლით, ოღონდ არავითარი გაფიცვა და აკადემიური პროცესის ჩაშლა!**

# წლების მერე, იშვიათი ფოტოარქივი რომ დაუგროვდა, დაწერა წიგნი, რომელსაც „ჩიტებით სავსე ყუთი“ დაარქვა…











ჟურნალისტი **თეონა გოგნიაშვილი**

***ბავშვობიდან** ახსოვს მამის ნაყიდი, ფეხზე მდგარი გერმანული ფოტოაპარატი „გომზა“, რომელსაც „შავ ტილოს გადააფარებდი და ჩიტს გამოაფრენდა“. წლების მერე, იშვიათი ფოტოარქივი რომ დაუგროვდა, დაწერა წიგნი, რომელსაც „ჩიტებით სავსე ყუთი“ დაარქვა…*

●

**პროფესიული საქმიანობა N1 საბჭოთა ბრენდით - „ზენიტით“ დაიწყო. იქიდან მოყოლებული ბევრი იშვიათი ფოტო გადაიღო. ერთ მშვენიერ დღეს, პროფესიულ ზენიტსაც მიაღწია. საქართველოს უახლეს ისტორიას ფეხდაფეხ, უფრო სწორად, კადრდაკადრ მისდევდა. ყველა ფოტოს მხოლოდ მისთვის ჩვეული რაკურსით იღებს, იქნება ეს პრივატულ გარემოში ნანახი ოფიციალური პირი თუ უჩვეულო სიტუაციებში აღმოჩენილი ცნობადი ადამიანი. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მისი გადაღებული კადრი ან იუმორით დაწერილი მასალა არასოდეს ყოფილა ვინმესთვის მიუღებელი და მით უფრო, უხამსი. არადა, ბევრი მისი კოლეგა ამგვარ ცდუნებას ძნელად უძლებს ქვეყანაში, სადაც „სიყვითლე“ დღემდე ტრენდშია.**

## «გადაღებულია ჯემალ კასრაძის მიერ!»

პირველად მისი ფოტო 1971 წელს, გაზეთ **„ლიტერატურულ საქართველოში“** დაიბეჭდა. ფოტოკორესპონდენტად კი ჟურნალ **„მართვეს“** რედაქტორმა **არჩილ გოგელიამ** აკურთხა. მუშაობდა სპორტულ გაზეთ **„ლელოში“**, თანამშრომლობდა: **„კაბადონის“, „დრონის“, „დილის გაზეთის“, „საქართველოს რესპუბლიკისა“** და სხვა გაზეთების რედაქციებთან. მის პირად არქივში სხვადასხვა „ჟანრის“ ბევრი ღირებული ფოტოა და ყველა მათგანს სიმბოლურად, ხარისხის ასეთი ნიშანი ადევს -**„გადაღებულია ჯემალ კასრაძის მიერ“**.

●

**საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს,** სხვადასხვა პრიზების გარდა, კულტურის სამინისტროსგან ქართული ფოტოხელოვნების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის **ალექსანდრე როინაშვილის პრიზი** და პრემია გადაეცა. ამ დარგის წარმომადგენლებისთვის ეს ფაქტობრივად, **„ქართული ოსკარია“**. თავის მესამე წიგნს ფოტოხელოვანმა უწოდა **„მცირე დოკუმენტური ნოველები და სხვ.“**

ჩვენთან საუბარში ბატონი ჯემალის მეუღლემ, ქალბატონმა **ნელი რეხვიაშვილი-კასრაძემ** იხუმრა: **„მე ჯემალის „შავი მუშა“ ვარ, რადგან კომპიუტერში წიგნის ტექსტები მე ავკრიფე. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, როგორც რედაქტორს, ისე მახსენებს. წიგნის დიზაინი ჩვენს შვილს, ლევანს ეკუთვნის“.**

ამ წიგნში უმეტესობა ისეთი ფოტოები და ამბებია, რომლებიც ჯერ არსად დაბეჭდილა. ამიტომ რამდენიმე მათგანის გამოქვეყნების ექსკლუზივი ჩვენ მოვიპოვეთ, რა თქმა უნდა, ავტორის თავაზიანი თანხმობით…

## ამბავი ჯანო კახიძეზე

„**ჯანო კახიძეს** დირიჟორობის დროს არ უყვარდა ფოტოგრაფები. ამიტომ ვცდილობდით, ფორტესიმოზე გადაგვეღო, რომ ფოტოაპარატის ჩხაკუნის ხმა არ გაეგონა. ამ წესს კი ვიცავდი, მაგრამ ხიფათი, როგორც ეს ხშირად ხდება, სხვა მხრიდან მეწვია: ერთ-ერთი მომღერალი ისე დადგა, იძულებული ვიყავი, ადგილი შემეცვალა. გადავდგი თუ არა ფეხი, ეშმაკად, ამოწეულ პარკეტს წამოვკარი და აი, მაშინ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ჯანო დიდი მაესტრო იყო - თან უკან, ჩემკენ იყურებოდა, განრისხებულ თვალებს არ მაშორებდა და თან დირიჟორობდა“.

## ჭირვეული ილიჩი

„1989 წელია, თბილისში ეროვნული მოძრაობის აქტივისტები პროლეტარიატის ბელადის ძეგლს ანგრევენ. გარშემო ვუვლი და ვაფიქსირებ. ძალიან ემოციური სიტუაციაა. კისერზე ტროსმობმული ილიჩი ჭირვეულობს.

40 წელია, აქ დგას და არ ეთმობა პრესტიჟული ადგილი. უზარმაზარი სატვირთო მანქანა ამაოდ ატრიალებს საბურავებს. ჩემს სიახლოვეს, ზოოპარკის ლომივით, ბოლთას სცემს **ზურაბ ქაფიანიძე.** და აი, როგორც იქნა, ხალხის ნებამ გაიმარჯვა და ლენინი ხმაურით დაასკდა ბეტონის ფილებს. აღტაცებულმა შეძახილმა იქაურობა გააყრუა. **ზურაბ ქაფიანიძე** მომვარდა, მხრებში ჩამავლო „ტორები“ და გახარებულმა დამაჯანჯღარა.

მაშინვე ფოტოლაბორატორიაში გავქანდი, მინდოდა, ფირი მალე გამემჟღავნებინა და გაზეთისთვის მიმესწრო. აპარატი გავხსენი და დამცეცხლა. სიჩქარისაგან ფირი ისე ჩამედო, პერფორაცია კბილანებს ასცდენოდა და იმ მანქანასავით ერთ ადგილზე ტრიალებდა“.

## პავლე ინგოროყვა

„ჟურნალ **„სკოლა და ცხოვრებას“, „მართვეს“** გარდა, კიდევ შვიდი სხვადასხვა პროფილის დამატება ჰქონდა, მათ შორის **„ბალავერი“ („ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“)**, რომლის რედაქტორიც **თამაზ კვაჭანტირაძე** იყო.

ერთხელაც მე და თამაზი, **ზაზა აბზიანიძესთან** ერთად ვეწვიეთ **პავლე ინგოროყვას**. გზაში თამაზმა და ზაზამ გამაფრთხილეს, ფოტოგადაღება არ უყვარს, თუ შეუმჩნევლად მოახერხებ, ხომ კარგი, თუ არა და, შეეშვიო. რას ვიზამდი. გადავედი იატაკქვეშეთში, დავიფარე უჩინმაჩინის ქუდი, გავძვერი ნემსის ყუნწში. ბატონი პავლე ისეა საუბარში გართული, „ვერ მამჩნევს“. როგორც კი „საკონტროლო კადრები“ ავკრიფე, თავისუფლად ამოვისუნთქე.

ამ დროს ბატონმა პავლემ ეშმაკურად შემომხედა, გამიღიმა. მარჯვენა ხელი მაღლა ასწია, საჩვენებელი თითი რამდენჯერმე მოღუნა და აპარატით ჩემი მოქმედებები „გაახმოვანა“ — „ჩხაკ, ჩხაკ, ჩხაკ“, თანაც გულიანად გაიცინა. მე რომ მგონია, ოპერაცია სუფთად ჩავატარე, ეს ას წელს მიღწეული კაცი რას დამინახავს-მეთქი, თურმე ნუ იტყვი, თავიდანვე შევუმჩნევივარ.

ძალიან მომწონს ეს ფოტოსერია - ერთ ჯერზე ამდენი კარგი კადრი არასოდეს გადამიღია“.





# პუტინის ომები და...

## 40 მილიონი რუსი ტუალეტის გარეშე

**უკრაინაში შეჭრილი რუსი ჯარისკაცები ნადავლის სახით, სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებთან ერთად, უნიტაზებსაც იტაცებენ. სოციალური ქსელები სავსეა რუსი ოკუპანტების მაროდიორობის ამსახველი ფოტოებითა და ვიდეოკადრებით.**

გამოთქმა, რომ „სულელები და გზები", რუსეთის ორი მარადიული უბედურებაა, წინა საუკუნეების რამდენიმე რუს ავტორს მიეწერებოდა, მაგრამ სავარაუდოდ მე-20 საუკუნის იუმორისტს მიხაილ ზადორნოვს ეკუთვნის. 21-ე საუკუნეში ამ ორ უბედურებას როგორც ჩანს, მესამეც ემატება – ტუალეტები.

ცოტა ხნის წინ უკრაინული ტუალეტების შესახებ საჯაროდ ილაპარაკა პეტერბურგის გუბერნატორმა ალექსანდრ ბეგლოვმა, მოგვიანებით კი „საპირფარეშოების საკითხზე" ყურადღება გაამახვილა თვით ვლადიმირ პუტინმა.

სანქტ-პეტერბურგის გუბერნატორმა ალექსანდრ ბეგლოვმა თავის ტელეგრამარხზე ჯარისკაცური პირდაპირობით დაწერა, რომ უკრაინაში მყოფ რუს სამხედროებს კარგად ესმით, რისთვის იბრძვიან.

„ამ ბიჭებს, რომლებმაც ნახეს სკოლის ტუალეტები, სადაც ორი განყოფილების – გოგოების და ბიჭების – ნაცვლად, სამი განყოფილებაა მოწყობილი – გოგოებისთვის, ბიჭებისთვის და გენდერულად ნეიტრალურებისთვის, არ სჭირდებათ ახსნა, თუ რა ღირებულებებს იცავენ".

ბეგლოვს, რეგიონული მასშტაბის პოლიტიკოსს, შეიძლება ეპატიოს ზედმეტი გულწრფელობა, მაგრამ მალე მისმა უფროსმა, პრეზიდენტმა პუტინმაც აიტაცა ტუალეტების თემა, როცა ფორუმზე „მცირე სამშობლო – რუსეთის სიძლიერე" მუნიციპალურ ჩინოვნიკებს აუწყა, რომ რუსი ემიგრანტები დასავლეთის ქვეყნებიდან ბრუნდებიან, რადგან მათთვის რთულია შვილების აღზრდა იქ, სადაც ბავშვებს – ბიჭებსა და გოგონებს – საერთო ტუალეტები აქვთ.

„ტრადიციული, ნორმალური ადამიანური ღირებულებების მქონე ადამიანებისთვის ძალიან რთულია ასეთ პირობებში ცხოვრება", – დაასკვნა პუტინმა.

„მტრის ტუალეტები უდავოდ ძლიერი ტრიგერია არა მხოლოდ რუსი სახელმწიფო მოხელეებისთვის, არამედ რიგითი რუსი ჯარისკაცებისთვისაც, – ამბობს რუსი ისტორიკოსი, „რადიო თავისუფლების" რუსული რედაქციის წამყვანი და ანალიტიკოსი სერგეი მედვედევი, რომელიც იხსენებს უკრაინაში რუსეთის შეჭრის პირველ თვეებს, როცა 2022 წლის მარტ-აპრილში რუსი ჯარისკაცები შედიოდნენ რიგითი უკრაინელების მიერ მიტოვებულ სახლებში (კიევის მახლობლად ბუჩაში, ირპენში, გოსტომელში) და ნანახის გამო აღშფოთებას ვერ მალავდნენ:

„ქსელში მოხვედრილი რუსი ჯარისკაცების სატელეფონო საუბრების ჩანაწერებში ჩანს მათი უკიდურესი გაღიზიანება ბურჟუაზიის მოკრძალებული კეთილდღეობით; გაღიზიანება მოკირწყლული ბილიკების, ალპური ბორცვების, საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და კომფორტული ტუალეტების გამო. სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრეს, აღშფოთებულებმა პირდაპირ მაგიდებზე, საძინებლებსა და ბავშვებისთვის განკუთვნილ ოთახებში მოისაქმეს. უკრაინელები, რომლებმაც ეს ქალაქები ერთი თვის შემდეგ გაათავისუფლეს, გაოცებას ვერ მალავდნენ დატოვებული განავლის რაოდენობის გამო. ზოგიერთმა რუსმა ჯარისკაცმა მტრის სანტექნიკაც კი მოხრახნა და სამშობლოში, თავისიანებს გაუგზავნა".

თვითონ რუსეთში ტუალეტები ერთ-ერთი უცვლელი უბედურება და დაავადებაა, რომელსაც ვერც საუკუნეები კურნავს, ვერც პოლიტიკური რეჟიმების ცვლილებები და ვერც კაპიტალიზმი თავისი ხვავრიელობითა და სისუფთავის კულტით.

სერგეი მედვედევის თქმით, წაბილწული საზოგადოებრივი ტუალეტი რჩება რუსული საზოგადოების ერთ-ერთ მთავარ ზნეობრივ სამაგრად და მნიშვნელოვან კულტურულ ინსტიტუტად, რომელიც რეპროდუქცირდება ისეთ ძირითადეროვნულ ღირებულებებში, როგორებიცაა: საერთო სიკეთის უპატივცემულობა, ადამიანის ზიზღი (განსაკუთრებით მისი ინტიმური გამოვლინებებისადმი), იძულებითი კოლექტიური სხეულობა და ა.შ.

**„სწორედ სკოლის „საჭირო ოთახებში", სადგურების, საავადმყოფოებისა და სამხედრო**



**ყაზარმების ტუალეტებსა და ციხე-კოლონიების ფეხსალაგებში ხდებოდა იძულებითი სოციალიზაცია საბჭოთა ადამიანისა, რომელსაც ჩამორთმეული ჰქონდა ინტიმურობის უფლება,** - ამბობს სერგეი მედვედევი, - 1991 წელს პოეტმა ტიმურ კიბიროვმა დაწერა კომიკური პოემა „სორტირები", ერთგვარი აღმზრდელობითი რომანი, რომელშიც გმირი იზრდება და პიროვნებად ყალიბდება მომაკვდავი იმპერიის საპირფარეშოებში.

ერთი წლის შემდეგ, მხატვარმა ილია კაბაკოვმა კასელის თანამედროვე ხელოვნების გამოფენის, **Documenta**-სთვის შექმნა ინსტალაცია „ტუალეტი" კლასიკურ საბჭოთა საზოგადოებრივ ტუალეტში (სამი ხვრელი, რომლებიც გადატიხრულია საღებავებით მოთხვრილი კედლებით) განათავსა მყუდრო მეშჩანური საცხოვრისი ტახტით, ტელევიზორით, კედელზე ხალიჩითა და სადილისთვის გაშლილი მაგიდით.

ზოგადად, საბჭოთა ადამიანის მთელი ცხოვრება ასეთი ტუალეტებისგან შედგებოდა და შემთხვევითი არ არის, რომ კიდევ ერთმა მოსკოველმა კონცეპტუალისტმა, მწერალმა ვლადიმირ სოროკინმა დაწერა რომანი „ნორმა", რომელშიც ყველა საბჭოთა ადამიანი ვალდებულია ყოველდღე მიირთვას პაკეტში დაფასოებული ნეხვის „ნორმა".

სერგეი მედვედევის თქმით, საბჭოთა ფეხსალაგების ტრადიცია ცოცხლობს XXI საუკუნის რუსეთშიც: საზოგადოებრივი და კერძო ტუალეტების ხელმისაწვდომობას, მათ ხარისხსა და სისუფთავეს რუსეთი გადაჰყავს ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების რიგებში.

2015 წელს საერთაშორისო ორგანიზაცია **WaterAid**-მა გამოაქვეყნა ანგარიში სახელწოდებით „მსოფლიოში ტუალეტების მდგომარეობა" - ტუალეტების ხელმისაწვდომობისა და ჰიგიენის ერთგვარი ნეგატიური რეიტინგი, რომელშიც ლიდერობს ინდოეთი, რუსეთი კი „საპატიო" მეათე ადგილზე იმყოფება ეთიოპიის, პაკისტანის, ბანგლადეშის, კონგოსა და ტანზანიის შემდეგ.

ამ სიაში რუსეთს სხვა ქვეყნებისგან გამოარჩევს მისი არანორმალურად მაღალი მშპ ერთ სულ მოსახლეზე. რუსეთი როგორც საშუალოდ განვითარებული ქვეყანა, აჩვენებს ერთ-ერთ ყველაზე ცუდ შედეგს მსოფლიოში ტუალეტების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.

ამას მოწმობს ანგარიშის კიდევ ერთი ცხრილი **Worst of the Best** – საუკეთესოდან უარესი: ტუალეტებთან დაკავშირებული პრობლემები განვითარებულ ქვეყნებში, სადაც რუსეთი ლიდერობს დიდი სხვაობით და უსწრებს, მაგალითად, მოლდოვას, რუმინეთსა და ბულგარეთს. ამ კვლევის მიხედვით, 40 მილიონ რუსს არა აქვს წვდომა უსაფრთხო, საკუთარ ტუალეტზე.

ამ მონაცემებს ადასტურებს რუსეთის სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურიც: რუსეთის შინამეურნეობების 22.6%-ს არა აქვს ცენტრალიზებული საკანალიზაციო სისტემა, 16.8% კი ტუალეტებად იყენებს ორმოებს, მოსახლეობის 5.8%-ს საერთოდ არა აქვს საკანალიზაციო სისტემა.

სოფლად კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა: ცენტრალიზებული საკანალიზაციო სისტემა არა აქვს სოფლად მცხოვრები რუსების 2/3-ს, ოჯახების 48.1% კი იყენებს ამოთხრილ ორმოებს, ე.წ. ჩეჩმებს, ხოლო 18.4%-ს საერთოდ არა აქვს საკანალიზაციო სისტემა, როგორც ასეთი.

„აი, ამგვარი ქვეყნის წარმომადგენლები ბედავენ, კომენტარები აკეთონ სხვა ქვეყნებში ტუალეტების თავისებურებებზე!" – ამბობს სერგეი მედვედევი:

**„როგორც ჩანს, ტუალეტის არსებობისადმი ზიზღი წარმოადგენს რუსული ცივილიზაციის დამახასიათებელ საფირმო თვისებას, სულიერების განსაკუთრებულ ნიშანს – შემთხვევითი არ არის, რომ კონსტანტინ ლეონტიევმა დასავლეთს უწოდა „water closet-ების იმპერია".**

საქმე რესურსების, ტექნოლოგიებისა და ტუალეტების ნაკლებობაში კი არ არის, ეს არის შეგნებული არჩევანი, გამოწვევა გარე სამყაროსთვის, კომფორტისათვის, ბურჟუაზიული ნორმალურობისთვის, ეს არის ყოვლის მშთანთქავი ენტროპია, რუსული ქაოსისა და რუსული სალოსობის ნაზავი.

რუსეთში ცხოვრების ნახევარი საუკუნის განმავლობაში, მე მინახავს მრავალი ტუალეტი, სხვადასხვა ხარისხის უბადრუკობა, მაგრამ ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ტუალეტმა რუსული სიწმინდის ცენტრში, წმინდა სერგის სამების ლავრაში, უძველეს ციხის კედელში, მთავარი კარიბჭის უკან.

ტუალეტიდან ეპიკური მასშტაბის სიბინძურე გადმოედინებოდა გარეთ, რაც ისეთ კონტრასტს ქმნიდა ეკლესიების ბრწყინვალებასა და ღვთისმსახურების მშვენიერებასთან, რომ გავიფიქრე, ალბათ ასეთი საშინელი ტუალეტის მონახულებაც იყო მორჩილების, ხორციელი დამცირებისა და მართლმადიდებლური ასკეტიზმის ნაწილი... ეს იყო გასული საუკუნის 90-იან წლებში, მაგრამ მიღებული შთაბეჭდილება მთელი სიცოცხლე გამყვება.

შესაძლოა, მას შემდეგ ტუალეტი გაიწმინდა, მაგრამ ყოველ ჯერზე, როცა ლავრას ვსტუმრობ, იქ შესვლას ვერიდები, ამიტომ ზუსტად ვერაფერს ვიტყვი".

რუსეთში, განსაკუთრებით 2022 წლის თებერვლის შემდეგ, მიღებულია პათოსით საუბარი „ცივილიზაცია-სახელმწიფოზე", რუსულ სამყაროზე და ხაზის გასმა რუსული მპყრობელობის („ძერჟავის") განსაკუთრებულ გზაზე მსოფლიო ისტორიაში.

**„რუსეთი მართლაც ძალიან სპეციფიკური ცივილიზაციაა, რომელმაც ათასი წლის განმავლობაში ვერ შეძლო ტუალეტის პრობლემის მოგვარება - ახლა კი, "არასწორი" ტუალეტების გამო, მეზობელი ქვეყნის მცხოვრებლებს ხოცავს",** - ასკვნის სერგეი მედვედევი, რუსი ისტორიკოსი და „რადიო თავისუფლების" რუსული რედაქციის პოლიტიკური ანალიტიკოსი.

**ჯიმშერ რეხვიაშვილი**
**ჟურნალისტი, ბლოგერი; პროზაული, პოეტური და დოკუმენტური კრებულების ავტორი.**

## აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებამდე დარჩენილ 5 თვეში შესაძლოა, მესამე მსოფლიო ომი დაიწყოს – დონალდ ტრამპი

**აშშ-ის** ექსპრეზიდენტის დონალდ ტრამპის განცხადებით, თეთრი სახლის ამჟამინდელი ხელმძღვანელობის არაკომპეტენტურობის გამო ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებამდე დარჩენილ 5 თვეში შესაძლოა, მესამე მსოფლიო ომი დაიწყოს. ამის შესახებ მან მინესოტაში მხარდამჭერებთან შეხვედრაზე განაცხადა.

მისივე თქმით, თანამედროვე შეიარაღება ისეთი მძლავრია, რომ ასეთი ომის შემთხვევაში არც ისე ბევრი ადამიანი გადარჩება.




**„უახლოეს ხუთ თვეში შეიძლება მესამე მსოფლიო ომში აღმოვჩნდეთ, იმიტომ რომ ქვეყანას არაკომპეტენტური ხალხი მართავს. ჩვენი ქვეყანა ძალიან სუსტია და შეიძლება ძალიან მალე მესამე მსოფლიო ომში იყოს ჩათრეული, იმიტომ რომ ამერიკას სულელები მართავენ",** – განაცხადა ექსპრეზიდენტმა.

## კლასიკური მუსიკა

# „საქართველოს ბულბულს“ დავიწყება არ უწერია!

## ახალგაზრდა ტენორმა არმაზ დარაშვილმა დარბაზი დაიპყრო




**მერაბ ბერძენიშვილის** სახელობის კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მუზაში“ ახლახან გაიმართა სახელგანთქმული მომღერლის ვანო სარაჯიშვილის საღამო, რომელზეც აღინიშნა მისი დაბადებიდან 145 და გარდაცვალებიდან 100 წელი.

პროექტის ხელმძღვანელი გახლდათ ივანე გალუაშვილი. საიუბილეო საღამოს უძღვებოდა უმშვენიერესი მარი ბაგრატიონი, რომელმაც ილაპარაკა ვანო სარაჯიშვილის შემოქმედებით ცხოვრების გზაზე.

ვანო სარაჯიშვილი ქართველი ხალხის უსაყვარლესი მომღერალი და ქართული ვოკალური ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო. იგი სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა. ხალხმა მას „საქართველოს ბულბული“ უწოდა.

მომავალი მომღერალი 1879 წლის 1 მაისს დაიბადა ქალაქ სიღნაღში. იგი ოჯახში მეთერთმეტე შვილი იყო და თავის ძმებთან ერთად მგალობელთა გუნდში გალობდა. სწორედ გალობამ მისცა შემოქმედებითი ბიძგი, რომ მომავალში საკუთარი გზა გაეკვალა ხელოვნებაში. 8 წლის ვანოს მამა გარდაეცვალა, ამიტომ მისი ოჯახი იძულებული გახდა, სიღნაღიდან თბილისში გადმოსულიყო საცხოვრებლად“...

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან თბილისი მთელი კავკასიის მთავარი ქალაქი და მუსიკალური კულტურის ცენტრი იყო.

საიუბილეო საღამოში მონაწილე ოპერის წამყვანმა სოლისტებმა ჩინებულად შეასრულეს არიები ვანო სარაჯიშვილის რეპერტუარიდან. ახალგაზრდა უნიჭიერესმა ტენორმა არმაზ დარაშვილმა ზ. ფალიაშვილის ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“ ცნობილი დუეტი სულხან გველესიანთან ერთად შეასრულა, ხოლო „დაისიდან“ მალხაზის არიამ „თავო ჩემო“ დარბაზი ერთიანად დაიპყრო, ფეხზე წამომდგარმა მაყურებელმა ხანგძრლივი აპლოდისმენტებით დააჯილდოვა ბრწყინვალე მომღერალი...

ულამაზესმა სოპრანომ მაკა ასპანიძემ ეთერის პარტია იმღერა, სულხან გველესიანმა და მარიკა მაჩიტიძემ ვერდის „რიგოლეტოდან“ შეასრულეს გულში ჩამწვდომი დუეტი. საიუბილეო საღამოში მონაწილე თითოეულმა მომღერალმა, მათ შორის ირაკლი მურჯიკნელმა, მიშო ჯავახიშვილმა, ალექსანდრე თიბელაშვილმა, რამაზ ჩიკვილაძემ და სხვებმა მსმენელის დიდი მოწონება დაიმსახურეს. ჯაკომო პუჩინის ოპერა „ტოსკადან“ კავარადოსის არია დახვეწილი ვოკალური ოსტატობით შეასრულა თემურ გუგუშვილმა, მანვე დარბაზს ამცნო სასიხარულო ინფორმაცია, იმის თაობაზე, რომ სიღნაღში, წლების მანძილზე ვანო სარაჯიშვილის მუზეუმში, აფთიაქი იყო გახსნილი. ვანო სარაჯიშვილის ქომაგის, ცნობილი მომღერლის გელა ქოქიაშვილის დიდი ძალისხმევით აფთიაქს მუზეუმი დააცლევინეს და იქ კვლავ ფუნქციონირებს მომღერლის მუზეუმი. ცოტა ხნის წინათ ბატონმა გელამ გამოსცა წიგნი ვანო სარაჯიშვილის შესახებ, რომლიდან რამდენიმე რჩეული ადგილი დასმწრეთ ბატონმა თემურმა გააცნო. მან ასევე მოუთხრო მაყურებელს იმ 40 პარტიის შესახებ, რომლებიც ვანო სარაჯიშვილის რეპერტუარში იყო.

**„პირადად მე ვარ ვანო სარაჯიშვილის ფონდის ხელმძღვანელი, რამდენიმე ბიზნესმენს ვთხოვე თანხის ჩარიცხვა ფონდში, რათა ახალგაზრდა ვოკალისტებისათვის შეგვეწყო ხელი კონკურსებში მონაწილეობისთვის, მაგრამ სამწუხაროდ, ყველამ უარი მითხრა...**

**თავად ვანო სარაჯიშვილს ისე უჭირდა, რომ პეტერბურგში სწავლის გასაგრძელებლად ვერ მიდიოდა, ვიდრე დიდმა ილია ჭავჭავაძემ მას სათავადაზნაურო ბანკიდან სტიპენდია არ დაუნიშნა...**

**პეტერბურგში ყოფნის დროს ალექსი წერეთელმა, აკაკი წერეთლის ვაჟმა, მიიღო ვანო ახალი ოპერის დასში, ხოლო შალიაპინმა გაუწია რეკომენდაცია მილანის თეატრ „ლა სკალაში“.**

**მიუხედავად დიდი წარმატებისა, ვანო სარაჯიშვილმა უცხოეთში ვერ გაძლო და თბილისის ოპერის თეატრში დაბრუნდა. მალე მან გასაოცარი პოპულარობა მოიპოვა!**

**ქალბატონმა მარი ბაგრატიონმა დამსწრეთ იმდროინდელ თბილისურ პრესაში დაბეჭდილი რეცენზიები გააცნო: „ქართული ოპერის შექმნის გამომწევი მიზეზი ჩვენი საყვარელი ვანო სარაჯიშვილია“,** – ამბობდა თურმე ზაქარია ფალიაშვილი.

**„როცა მღერის ვარდის ფურცლის ხავერდი აქვს ხმაში. თქვენ საქართველოს ნამდვილი ბულბული ბრძანდებით“** – ეს სიტყვები აკაკი წერეთელს ეკუთვნის.

**„სარაჯიშვილი განსაკუთრებული ხელოვანია, რომელსაც შეიძლება დაუსრულებლად უსმინო. იგი ესთეტიკურ აღტაცებას იწვევს მსმენელში“,** – წერდნენ იმდროინდელი გაზეთები.

საიუბილეო საღამოს დასასრულს ივანე გალუაშვილმა მადლობა გადაუხადა სპონსორებს, თბილისის მერიას, კონცერტში მონაწილე მომღერლებს, რეჟისორ ზაზა აღლაძეს, კონცერტმაისტერებს მაია რეხვიაშვილს, ირა აივაზოვას და დამსწრე საზოგადოებას.

**ნანა ჭიჭინაძე**

# 19 წლის აფხაზი გოგონას სამირას დღიურების თვალსაწიერი




**პარლამენტის** ეროვნულ ბიბლიოთეკაში 19 წლის აფხაზი გოგონას სამირას დღიურების პრეზენტაცია გაიმართა.

როგორია დღეს ენგურს მიღმა აფხაზეთი და რამდენად ერთნაირია აფხაზი სამირას და ებრაელი ანა ფრანკის ყოფა, სადაც ერთი ნაცისტურ რეჟიმს ემალებოდა, მეორეს კი რუსეთის ოკუპაციის პირობებში უწევს დამალვა...

წიგნის გამოცემა მიეძღვნა ჯინერი მაჭავარიანის ხსოვნას.

# გერგეტის სამების საეკლესიო კომპლექსის რეაბილიტაცია დაიწყო



**კულტურის** სამინისტროს ინფორმაციით, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მდებარე ეროვნული მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის – გერგეტის სამების ინტერიერში სახურავიდან ბუნებრივი ნალექი ჩადიოდა. გადახურვის ნაშვერების არქონის გამო სახურავიდან ჩასული ნალექი პირდაპირ კედელზე ჩამოედინებოდა, რაც აზიანებდა კედლის საფასადე წყობასა და ცოკოლს.

პროექტით გათვალისწინებულია მთავარი ტაძრისა და სამრეკლოს სახურავის შეცვლა, წყლის გადაყვანის სისტემის მოწესრიგება, ექსტერიერსა და ინტერიერში კედლის ქვის წყობის კონსერვაცია და ტაძრის პერიმეტრიდან ბუნებრივი ნალექის ნაკადების ეზოსკენ მიმართვა.

სარეაბილიტაციო სამუშაოებს ატარებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ჯავა კონსტრაქშენი“. სააგენტოს მიერ ძეგლის რეაბილიტაციისთვის გამოყოფილია 614 000 ლარი.

გერგეტის სამება ერთადერთი გუმბათოვანი ტაძარი და, ამავე დროს, ყველაზე დიდი ეკლესიაა ხევში. ეს არის ხევის მთავარი სალოცავი. გალავნით შემოზღუდულ კომპლექსში შედის სამების გუმბათოვანი ტაძარი, სამრეკლო (XIV ს.) და საზჭეო (XV ს.).

# ქუთაისი „ქარავან არტ ფორუმს“ მასპინძლობს

**ამის** შესახებ ინფორმაცია ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ გაავრცელა.

ფესტივალის დღეებში, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში გაიმართა რესტავრატორ-კონსერვატორთა კონფერენცია, სემინარი და ვორკშოპი. კონფერენციის გახსნაში მონაწილეობა მიიღეს ქუთაისის მერმა იოსებ ხახალეიშვილმა და მაჟორიტარმა დეპუტატმა ზაზა ლომინაძემ.

რესტავრატორების მიერ მოწყობილ კონფერენციასა და სამუშაო პროცესებს, სემინარსა და ვორკშოპს ხელმძღვანელობს მუზეუმის დირექტორის მოადგილე ნონა ქარციძე.

„ქარავან არტ ფორუმის“ პროგრამაში მონაწილე მხატვრების შემოქმედება წარმოადგინეს ფესტივალის ორგანიზატორებმა ნინო მეტრეველმა და შალვა ხახანაშვილმა.

სარესტავრაციო სამუშაოების თანამედროვე ტექნოლოგიებზე, კერძოდ, ლაზერული სპექტრის გამოყენების მეთოდებზე ისაუბრეს საფრანგეთიდან მოწვეულმა სხვადასხვა დარგის კულტურული მემკვიდრეობის სპეციალისტებმა და რესტავრატორებმა.

–ქუთაისში უკვე ტრადიციად იქცა თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის „ქარავან არტ ფორუმის“ მასპინძლობა. ფესტივალის ფარგლებში არაერთი საინტერესო ღონისძიება იმართება ჩვენს ქალაქში. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში ჩატარდა რესტავრატორ-კონსერვატორთა კონფერენცია, სადაც ფრანგმა რესტავრატორებმა რესტავრაციის თანამედროვე მეთოდებზე ისაუბრეს.

ქუთაისის მერიის მხარდაჭერით, ფრანგი სპეციალისტების კონსულტაციით და დახმარებით, გადაწყვეტილი გვაქვს ჩვენს მუზეუმში მოეწყოს უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ლაბორატორია, სადაც შესაძლებელი იქნება დაზიანებული ექსპონატების დიაგნოსტიკა და მათი რესტავრაცია თანამედროვე მეთოდებით.

ფესტივალი დღეს დასრულდება და კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება გაიმართება“...

# კახიძის მუსიკალურ ცენტრში სალოტბარო სკოლების დაარსებიდან 10 წლისადმი მიძღვნილი კონცერტი გაიმართება






**საქართველოს** სხვადასხვა კუთხის 32 სალოტბარო სკოლის მოსწავლეები თბილისელ მსმენელთან შესახვედრად ემზადებიან. 20 მაისიდან მოსწავლეებს ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი უმასპინძლებს, სადაც ერთი კვირის მანძილზე ინტენსიური რეპეტიციები გაიმართება.

პროექტის მთავარი ღონისძიება 28 მაისს ჯანსუღ კახიძის მუსიკალურ ცენტრში გაიმართება.

500 მოსწავლე სცენაზე გააცოცხლებს საქართველოს სხვადასხვა კუთხის გალობას, სიმღერას და ქორეოგრაფიულ ნიმუშებს. პროექტი ეძღვნება პირველი სალოტბარო სკოლის დაარსებიდან 10 წლის იუბილეს. ამ ხნის მანძილზე გაიზარდა თაობა, რომელიც გახდა მნიშვნელოვანი რგოლი, ცოცხალი ფოლკლორის გადაცემის უწყვეტ ჯაჭვში. პროექტის მხარდამჭერია საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო და ტელეკომპანია „იმედი“.

ლეგიონერები

# გასროლა ფლორენციაში



**1989 წლის 17 მაისი ნაპოლის გულშემატკივართათვის ისტორიული თარიღია – ამ დღეს ოტავიო ბიანკის გაწვრთნილმა ვარსკვლავთკრებულმა მარადონას, კარეკასა და ალემაოს ძალისხმევით კამპანიელებს პირველი და დღემდე უკანასკნელი ევროპული ჯილდო – უეფას თასი მოუხვეჭა. მაშინდელი ტიტულისკენ მიმავალ ნარეკლიან გზაზე იტალიელებმა მრისხანე მეტოქეთა მთელი თაიგული დასცეს – თანამემამულეთა იუვენტუსი, ინტერი, აგრეთვე გერმანული ბაიერნი და ორრაუნდიან ფინალში – შტუტგარტი, სადაც კლინსმანი ბრწყინავდა – 2:1 და 3:3.**

სიმბოლურია, რომ პარტენო პეის ჯერაც არნახული ტრიუმფის 35-ე წლისთავზე, ზუსტად 17 მაისს მოხდა ფაქტი, პირდაპირ რომ უკავშირდება ქართულ ფეხბურთს.

როგორც მოგეხსენებათ, 1 თვე დარჩა ისტორიულ მოვლენამდე – სადებიუტო ევროპის ჩემპიონატამდე, გერმანულ ფორუმამდე კი მრავალ საფიქრალთან ერთად ჯარიმების ოსტატურად შემსრულებლის პრობლემაც გვქონდა, რაც, დაგვეთანხმებით, არცთუ უმნიშვნელო საკითხია.

და აი, სერია – ა-ს ბოლოსწინა ტურში ნავსი გატყდა: ფიორენტინასთან გასვლით მატჩში ფრანჩესკო კალცონას გუნდი მარცხისგან **ხვიჩა კვარაცხელიამ** იხსნა, რომელმაც თავისივე გამომუშავებული შორეული სტანდარტული მდგომარეობა ულამაზეს შედევრად აქცია – 2:2. სხვათა შორის, ეს ჯვაროსანთა ლიდერის კარიერაში მეორე მსგავსი შემთხვევაა რუსეთის შემდეგ (რუბინი – როსტოვი).

რაც შეეხება სატურნირო პერსპექტივას, აღნიშნულმა ქულამ სტუმრებს კვლავაც ბუნდოვნად დაუტოვა მომავალი სეზონის საერთაშორისო პროექტები, რადგან მაქსიმუმ კონფერენს ლიგის საგზურის მოპოვება მხოლოდ ექს-ჩემპიონზე არაა დამოკიდებული.

ბოლო ტურში ნაპოლი 26 მაისს ლეჩეს უმასპინძლებს.

იმავე დღეს ფრანგულ ლიგა – 2-ში კიდევ ერთხელ ისახელა თავი გოლითა და 2 შედეგიანი გადაცემით **ზურიკო დავითაშვილმა** (ბორდო – პო 3:2).

ოკეანის გაღმა-გამოღმა

# ცხელი მაისი



**იტალიის სერია – ა-ში წარმატებით დაიწყო პლეი-ოფი რეგულარული სეზონის გამარჯვებულმა ვირტუსმა, რომელმაც დავირუსებული თორნიკე შენგელიას არყოფნაში ორივე საშინაო მატჩი მოუგო ტორტონას და 2:0 დაწინაურდა, მაგრამ გუნდში გამოჯანმრთელებული ქართველი ლიდერის დაბრუნების შემდეგ ბოლონიელები ორივე გასვლით შეხვედრაში დამარცხდნენ – 81:91, 75:82, რის შემდეგაც სერიაში ანგარიში გათანაბრდა – 2:2.**

შესაბამისად, ნახევარფინალისტს გადამწყვეტი – მეხუთე ბრძოლა გამოავლენს, რომელიც ბოლონიაში გაიმართება. ალბათ, მიხვდით – მასპინძლებს საკუთარი სარბიელის უპირატესობა რეგულარულ სეზონში დაკავებულმა უკეთესმა ადგილმა მიანიჭა.

რაც შეეხება ჯვაროსანთა კაპიტანს, იგი პარტნიორებს მისთვის შეუფერებლად მოკრძალებული პირადი მონაგრით შეუერთდა – 10 ქულა (შესაბამისად – 6 და 4 ქულა), მაგრამ ვიმედოვნებთ დასკვნით რაუნდში ჩვეული ოსტატობით გაიბრწყინებს.

ამასობაში დრამატულად ვითარდება მოვლენები ნბა-ში, სადაც თანდათან კონფერენციების ფინალისტთა ვინაობა ხდება ცნობილი.

უკვე გაუწყეთ, რომ პლეი-ოფის წინაღობა წარმატებით პირველმა ბოსტონმა დაძლია, რომელსაც გუშინ მთლიანად ტურნირის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი დალასი შეუერთდა.

როგორც მოგეხსენებათ, ტეხასელებმა პირველად და ჯერჯერობით უკანასკნელად ოქროს ბეჭდები 2011 წელს გერმანელი სუპერვარსკვლავის დირკ ნოვიცკის ძალისხმევით მოიხვეჭეს, ხოლო ამჯერად ტიტულს სლოვენიელი მოვლენის ლუკა დონჩიჩის ლიდერობით უტევენ.

სწორედ მისი მორიგი სამმაგი დუბლი აღმოჩნდა გადამწყვეტი ოკლაჰომასთან შინ მძიმედ დაწყებული მეექვსე თამაშის შემოსატრიალებლად – 117:116 (პირველი ტაიმი – 48:64), რამაც სერიაც მოაგებინა – 4:2. რაც შეეხება ევროპელის სტატისტიკას: 29 ქულა და 10-10 მოხსნა-პასი.

ოვალური ბურთი

# ურუგვაისთან – სარევანშოდ

**საქართველოს 7-კაცამ გერმანიაში მიმდინარე 2024 წლის მსოფლიო რაგბის ჩელენჯერის მესამე, დასკვნით ეტაპზე, ჯგუფური ეტაპი მესამე ადგილზე დაასრულა და თასის მეოთხედფინალში ითამაშებს.**

მიუნხენში გამართული პირველი თამაში მასპინძელ გერმანიასთან გვქონდა და დებიუტში გარდასახული ლელოთი ჩამოვრჩით. ტაიმის შუაში რომან მახათაძემ ჩვენს ნახევარზე გაჭრა ხაზი, ლელომდე 60-70 მეტრი ირბინა და ბოჭვის მიუხედავად ალამთან ცალი ხელით ლელოც დაამიწა, მაგრამ საქმეში ვიდეორეფერი ჩაერთო, ეპიზოდი ბურთის წინვარდნად შეაფასა და ლელო გააუქმა.

თამაში რომ განახლდა გიორგი ჯოზავამ 100%-იანი ლელოსგან გვიხსნა, თუმცა განმეორებითი ბოჭვისას ყვითელი ბარათი მიიღო და მასპინძლებმა რიცხობრივი უპირატესობა ორ გარდასახულ ლელოში ასახეს. მეორე ტაიმში გერმანიამ მეოთხე ლელო გაიტანა, რაზეც გაგა ქევხიშვილმა ერთით უპასუხა და გერმანიამ 28:10 გაიმარჯვა.

მეორე თამაში სერიის ლიდერ ურუგვაისთან გვქონდა და მეტოქე გარდასახული ლელოთი აქაც დაწინაურდა. ტაიმის შუაში სწრაფი კონტრშეტევის შემდეგ რომან მახათაძემ ლელოთი ჩამორჩენა შეამცირა, მაგრამ მეტოქემ მეორე გარდასახული ლელოც მიითვალა და 14:5 დაწინაურდა.



შესვენების შემდეგ სამხრეთამერიკელებმა მესამე ლელო გაიტანეს, რასაც ირაკლი სიმსივეს სინბინი მოყვა და ურუგვაიმ რიცხობრივი უპირატესობა კარგად გამოიყენა. გაწითლებულ დროზე გაგა ქევხიშვილმა მეორე ლელო გაიტანა, დავით იმნაძემ გარდასახა და მატჩი ურუგვაის გამარჯვებით დასრულდა – 40:12.

ჯგუფის დასკვნითი შეხვედრა პაპუა ახალ გვინეასთან გვქონდა და ორ საუკეთესო მესამეადგილოსანს შორის მოსახვედრად მაქსიმალურად დიდი სხვაობით გამარჯვება გვჭირდებოდა. საქართველომ პირველი ტაიმი კარგად ჩაატარა, იოსებ გუშარაშვილმა და საბა არჩვაძემ ორ-ორი ლელო გაიტანეს, არჩვაძემ ერთი გარდასახვაც გამოიყენა და 22:0 დავწინაურდით.

მეორე ტაიმში სიტუაცია შეიცვალა და ჩვენის მხრიდან ერთადერთი ლელო გიორგი ჯოზავამ მიითვალა, ოკეანეთელებმა კი სამჯერ იხეირეს, მაგრამ მხოლოდ ერთი გარდასახეს და საქართველომ 27:17 გაიმარჯვა.

ამით მესამეადგილოსნებს შორის პორტუგალიას გავასწარით და თასის მეოთხედფინალში გავედით, სადაც კვლავ კარგად ნაცნობ ურუგვაის შევხვდებით.

**7-კაცას შემადგენლობა მსოფლიო რაგბის ჩელენჯერის მესამე (მიუნხენი, გერმანია) ეტაპზე:**

**გიორგი ჭუაძე, სერგი ჩხაიძე, დავით იმნაძე, თემურ ჭიჭინაძე, საბა არჩვაძე, გაგა ქევხიშვილი, ირაკლი სიმსივე, რომან მახათაძე, ლევან ნარიმანიძე, ლუკა ალიბეგაშვილი, იოსებ გუშარაშვილი, გიორგი ჯოზავა.**

**მწვრთნელები: ბესიკ ხამაშურიძე, გია ლაზაძე**

ოქტაგონზე

# მეტოქე ცნობილია

**UFC-ს ქართველი მებრძოლი გიგა ჭიკაძე ოქტაგონზე ბრუნდება და 11-თვიანი პაუზის შემდეგ იჩხუბებს.**

ბრძოლა 28 ივლისს მანჩესტერში შედგება და გიგას მეტოქე ინგლისელი ბილი ალენი იქნება.

გიგა ჭიკაძე UFC-ში 2019 წლიდან გამოდის და დღემდე 9 ბრძოლა გამართა, საიდანაც 8 მოიგო, ხოლო ერთხელ დამარცხდა.



ხუთი რგოლი

# მილიარდები პარიზისთვის

**საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (IOC) ინფორმაციის თანახმად, რომელიც თავის მხრივ დამოუკიდებელ კვლევას ეყრდნობა, XXXIII ოლიმპიური თამაშები პარიზს 6,7-დან 11,1 მილიარდი ევროს ოდენობის სუფთა ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს.**

სპორტის სამართლისა და ეკონომიკის ცენტრის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში აღნიშნულია, რომ პარიზის ოლიმპიურ თამაშებს ეწვევა დასასწრები ბილეთის მქონე 3,1 მილიონამდე ადამიანი, მათ შორის დაახლოებით 64 პროცენტი ფრანგი იქნება. პარიზის ტურიზმის სამსახურის მონაცემებით, ისინი, ვინც პარიზში ოლიმპიურ თამაშებზე ბილეთებით ან მის გარეშე ჩავლენ, დახარჯავენ 2,6 მილიარდ ევროს.

სახსრების დიდი ნაწილი – 7 მილიარდი ევრო მედიაუფლებების, ბილეთების გაყიდვიდან, სპონსორებისგან შევა, ასევე – გრძელვადიან ინფრასტრუქტურულ პროექტებში კერძო ინვესტიციებიდან. ამასთან, აქ გათვალისწინებულია IOC-ის




წილი, რომელიც 1,7 მილიარდი დოლარია.

**სახელმწიფო დაფინანსება შეადგენს 3 მილიარდ ევროს და ძირითადად ფარავს ადგილობრივი მოსახლეობისთვის შექმნილ პროექტებს. დაანგარიშებულია, რომ სახელმწიფოს გასავლის ყოველ ევროზე მოდის მოგების სამი ევრო.**



## ავთანდილ ჯორბენაძის სულთათანა

# საქართველოზე უზომოდ შეყვარებული მამულიშვილი

საქართველოს სამედიცინო საზოგადოებამ უდიდესი დანაკლისი განიცადა – მოულოდნელად გარდაიცვალა საამაყო მამულიშვილი, ექიმი და საზოგადო მოღვაწე, ბატონი **ავთანდილ ჯორბენაძე.**

ბატონი ავთანდილი დაიბადა 1950 წლის 31 ოქტომბერს ქალაქ ლანჩხუთში. 1974 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი, რის შემდეგ პრაქტიკოს ექიმად მუშაობდა თბილისის 29-ე პოლიკლინიკაში, სამხედრო ნაწილში და თბილისის პირველ კლინიკურ საავადმყოფოში. 1982-1986 წლებში იყო თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილე სამკურნალო დარგში, 1986-1991 წლებში – თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე, ხოლო 1991-1992 წლებში – ამავე სამმართველოს უფროსი. 1992-1993 წლებში ის იყო საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე და ამავე პერიოდში, აფხაზეთის კონფლიქტის დროს ხელმძღვანელობდა ფრონტის სამხედრო-სამედიცინო სამსახურს. 1993-2001 წლებში მუშაობდა ჯერ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის, ხოლო შემდეგ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის თანამდებობაზე. 2001-2003 წლებში იყო საქართველოს სახელმწიფო მინისტრი. 2011 წლიდან მუშაობდა აკად. გ.ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეედ.

ბატონმა ავთანდილმა მთელი თავისი ცხოვრება ადამიანების ჯანმრთელობაზე ზრუნვაში გაატარა, თავდაუზოგავად იბრძოდა სხვების დასახმარებლად. უსაზღვროდ უყვარდა თავისი საქმე. უდიდეს პატივს სცემდა უფროს კოლეგებს და განუზომელ დახმარებას უწევდა ახალგაზრდებს. გაჭირვებაში გვერდით დგომაც განსაკუთრებული იცოდა, სხვა რომ ვერავინ ახერხებდა ისეთი. ლხინსა და სიხარულში კი ლაღი და მოსიყვარულე იყო, საუბარს საოცრად დახვეწილი, მხოლოდ მისთვის ჩვეული თბილი იუმორით აფერადებდა.

ბატონი ავთანდილი უდიდესი ორგანიზატორული ნიჭით იყო დაჯილდოებული, რომელიც განსაკუთრებით გამოადგა აფხაზეთის კონფლიქტის დროს. ვინ მოთვლის, რამდენი დაჭრილი მეომრის გადარჩენა გახდა შესაძლებელი მის მიერ ორგანიზებული და კოორდინირებული სამედიცინო ბრიგადების მიერ. მან პრაქტიკაში დანერგა „სამედიცინო დიპლომატია“, რომელსაც ხშირად იყენებდა პოსტკონფლიქტურ პერიოდში აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა სამედიცინო მომსახურებით უზრუნველსაყოფად.

ჩვენმა საზოგადოებამ კარგად უწყის, თუ რაოდენ დიდია მისი დამსახურება გაპარტახების პირას მისული საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის გადარჩენისა და აღორძინების საქმეში. ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში გატარებული ცვლილებებისა და რეფორმების წყალობით, გაბედული, ხშირად მტკივნეული, მაგრამ აუცილებელი ნაბიჯების გადადგმით საყოველთაო აღიარება ძალიან სწრაფად მოიპოვა. მის სახელს უკავშირდება ჯანმრთელობის დაცვის სისტემის საკანონმდებლო ბაზის ფორმირება, კერძო სექტორის ჩამოყალიბება, უმაღლესი სამედიცინო განათლების ახალი სისტემის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის ფორმირება, რეზიდენტურისა და სერტიფიცირების შემოღება. აღიარება და წარმატება ბატონ ავთანდილის თავდაუზოგავი შრომისა და განუზომელი შინაგანი ენერგიის ხარჯვის შედეგი იყო. მას არასოდეს ღალატობდა ღრმა მეცნიერულ კვლევებზე და ექსპერტთა მოსაზრებებზე დამყარებული ალღო და პროგნოზირების გასაოცარი უნარი.

ბატონი ავთანდილი იყო მოსიყვარულე მეუღლე, მამა, ბაბუა, ერთგული მეგობარი და საქართველოზე უზომოდ შეყვარებული მამულიშვილი.

ნათელში ამყოფოს უფალმა ამ დიდებული ადამიანის სული. მისი სახელი მუდამ დარჩება ჩვენს მეხსიერებაში.

**რონ მეტრეველი,**
**ვიტალი ხაზარაძე,**
**დემურ გადელია,**
**ნიკო ლეკიშვილი,**
**ბესო კილასონია,**
**პეტრე ბერაია,**
**გურამ გუნავა,**
**ოთარ ჭითანავა,**
**მირზა ქორქაშვილი,**
**ვახტანგ კიკნაძე,**
**ირაკლი მენაღარიშვილი,**
**ამირან გამყრელიძე,**
**გია ყარყარაშვილი,**
**თემურ კალანდაძე,**
**ნატა ყაზახაშვილი,**
**ოთარ ვასაძე,**
**გოგი ბოჭორიშვილი,**
**კობა ამირხანაშვილი.**

---

ლუიზა, ვიქტორ და რონ მეტრეველები იუწყებიან ახლო მეგობრის, გამოჩენილი ქართველი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის

**ავთანდილ ჯორბენაძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.

---

ვიტალი ხაზარაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დიდებული მამულიშვილი, უიშვიათესი პიროვნება, პროფესიონალი მედიკოსი და სამედიცინო დარგის რეფორმატორი, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს დიდი პატრიოტი

**ავთანდილ ჯორბენაძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

დემურ გადელია ოჯახით დიდი გულისტკივილით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა თანამედროვე საქართველოს ერთ-ერთი უღირსეულესი შვილი, ერსა და ქვეყანაზე მზრუნველი უკეთილშობილესი პიროვნება, დიდი სამეგობროს იმედი, თავმდაბალი, ზნეკეთილი, ჭეშმარიტი მამულიშვილი

**ავთანდილ ჯორბენაძე**

და თანაუგრძნობს მის ოჯახს, სამეგობროს და სანათესაოს.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქართველ ჟურნალისტთა ერთგული მეგობარი, თანამდგომი და უანგარო მკურნალი

**ავთანდილ ჯორბენაძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს და მეგობრებს.

---

ანზორ გურჯანაძე, გრიგოლ ონიანი, დავით სალარიძე, დემურ გაღდავაძე, ვალერი ასათიანი, ჯუმბერ ბერაძე, ლაშა ნადარეიშვილი, სპარტაკ ქოგულია, აკაკი სიხარულიძე, გიორგი მამაცაშვილი, ნუგზარ ფოფხაძე ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან მეგობრის – გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის, სიკეთის უანგაროდ მთესველი რაინდი კაცის

**ავთანდილ ჯორბენაძის**

გარდაცვალებას და უსამძიმრებენ მის ოჯახს, სამედიცინო საზოგადოებას, სრულიად საქართველოს.

**პანაშვიდი ორშაბათს, 20 მაისს, სიონის საკათედრო ტაძარში;**
**გამოსვენება სამშაბათს, 21 მაისს,14 საათზე, სიონის ტაძრიდან.**

---

აჭარის ექიმთა გაერთიანებული საზოგადოება და ბერიძეთა საგვარეულო დარგაზი ღრმა მწუხარებას გამოხატავს აჭარის დიდი მოამაგის, მზრუნველის, უანგარო მეგობრის, გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, კეთილი, საქმიანი, უაღრესად განათლებული, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული პიროვნების

**ავთანდილ ჯორბენაძის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, განსაკუთრებული ხიბლის მქონე, აღმატებული კაცური ღირსებებით დაჯილდოებული, მეგობრობის ეტალონი ბატონი ავთანდილი საზოგადოებაში გამორჩეული პატივისცემით და სიყვარულით სარგებლობდა, მისი სახელი სამარადისოდ დარჩება მრავალრიცხოვანი მეგობრებისა და ახლობლების ხსოვნაში.

**აკაკი ბერიძე, ჯემალ ბერიძე, ვაჟა ბერიძე, ბეჟან ბერიძე, ეთერ ბერიძე, დიმიტრი ცეცხლაძე, ნუგზარ სურმანიძე, რევაზ ბოლქვაძე, სოლომონ ფუტკარაძე, ზურაბ ჟღენტი, ჯემალ თავდგირიძე, მალხაზ ჯაყელი.**

# დაფქვით ხელოვნების მუზეუმის განახლებული შენობით



**მუზეუმების** საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ახლად რეაბილიტირებული მეორე კორპუსი ცნობილი მხატვრის **ლევან ლაღიძის** მასშტაბური რეტროსპექტული გამოფენით გაიხსნა.

მუზეუმების დღესთან დაკავშირებით საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრმა თეა წულუკიანმა საზეიმოდ გახსნა ახალი შენობა და დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში მეორედ გასცა სამუზეუმო პრემიები.

ღონისძიებას ესწრებოდნენ შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი ნიკა ახალბედაშვილი, საქართველოს ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმის გენერალური დირექტორი გიორგი კალანდია, გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი ნინო ჭიპაშვილი, აკადემიკოსი ვალერი ასათიანი, მუზეუმების თანამშრომლები, სამუზეუმო სფეროს წარმომადგენლები და მეცნიერები.

წელს გაიცა სხვადასხვა სამუზეუმო პრემია, კერძოდ:

აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის სახელობის პრემია საქართველოს სამუზეუმო საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის გადაეცა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს გულნაზ ბარათაშვილს;

აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემია საარქივო საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის გადაეცა საქართველოს ეროვნული არქივის ქუთაისის ცენტრალური ფილიალის დირექტორს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს მერაბ კეზევაძეს;

აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას სახელობის პრემია საქართველოს სამუზეუმო საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის გადაეცა ეთნოგრაფ თეა აბრამიძეს;

დავით არსენიშვილის სახელობის პრემია საქართველოს სამუზეუმო საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის გადაეცა ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის დირექტორ ანზორ ოკუჯავას;

აკაკი ჭანტურიას სახელობის პრემია გადაეცა ეთნომუსიკოლოგ ქეთევან ბაიაშვილს.

ღონისძიება მუსიკალურად ეთნოგრაფიული მუზეუმის ანსამბლმა „დიდგორმა“ გააფორმა.

# სააკაშვილი უსირცხვილო კაცია!..



**საზოგადოება** „ქართულის“ საინიციატივო ჯგუფის წევრი სვიმონ ჯანგულაშვილი მიხეილ სააკაშვილის ფეისბუქ სტატუსს ეხმიანება, სადაც სააკაშვილი საქართველოს ჰიმნის შექმნის შესახებ წერს და აღნიშნავს, რომ ჰიმნის ტექსტში სწორედ მან ჩაწერა სიტყვები: „თავისუფლება დღეს ჩვენი, მომავალს უმღერს დიდებას; დიდება თავისუფლებას, თავისუფლებას დიდება“.

სვიმონ ჯანგულაშვილი თავის პოსტში აღნიშნავს, რომ ჰიმნის შესარჩევად კონკურსი ჩატარდა, რომელშიც კეჭაყმაძის ორმა ნამუშევარმა გაიმარჯვა – მისმა ორიგინალურმა მუსიკამ და კეჭაყმაძის მიერ დამუშავებულმა ფალიაშვილმა. კომისიის და თავად კეჭაყმაძის გადაწყვეტილებით, დღევანდელი ჰიმნი აირჩა, ხოლო ტექსტი დავით მაღრაძემ შექმნა. ჯანგულაშვილის თქმით, პლაგიატური პოსტით გაქნილმა აფერისტმა და სისხლიანმა ავტორიტარმა სააკაშვილმა, მიითვისა გარდაცვლილი გენიალური კომპოზიტორის იდეა – ფალიაშვილის მუსიკა გადაქცეულიყო ჰიმნად, შეერთებულიყო „აბესალომისა“ და “დაისის” ფრაგმენტები. „მიშა – გენიოსი; მიშა – ბეთჰოვენი; მიშა, როგორც ქართველი კომპოზიტორების სტალინი, უფრო სწორად – მუსიკალური პლაგიატორი. რეებს წერს? რა აფერისტია ტიპი.

**P.S.** მუსიკოლოგმა და დირიჟორმა **Shio Abra**-მ შეგვახსენა: ჰიმნის ნიმუშები კონკურსზე ბატონ სოსოს 1998 წელს წარუდგენია ჯერ კიდევ. ასე რომ, მიშა და ქალბატონი გიული ნამდვილად არაფერ შუაშია.“

**სვიმონ ჯანგულაშვილი.**

# ადამიანი – შხამიანი არსება?!



**ძუძუმწოვართა** დიდი ნაწილი და მათ შორის, ადამიანები, შხამიანი არსებები არ არიან, მაგრამ ახალი კვლევა გვთავაზობს, რომ ჩვენს გენეტიკურ საფუძველს ამის პოტენციალი ნამდვილად აქვს.

ოკინავას მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ინსტიტუტისა (OIST) და ავსტრალიის ეროვნული უნივერსიტეტის მეცნიერები ჟურნალ PNAS-ში გამოქვეყნებულ მოხსენებაში განმარტავენ, რომ რეპტილიებსა და ადამიანებს აქვთ ერთი და იგივე გენეტიკური საფუძველი, რომელიც ორალური შხამის განვითარებაზეა პასუხისმგებელი.

ეს არსებითად იმაზე მიანიშნებს, რომ ევოლუციის შედეგად, ადამიანები და სხვა ძუძუმწოვრები, შესაძლოა, შხამიან არსებებად ჩამოყალიბდნენ. თუმცა, მოხსენების მიხედვით, ამას ათასობით წელი დასჭირდება, ამიტომ ჯერჯერობით, სადარდებელი არაფერია.

გუნდმა დაწვრილებით შეისწავლა ის გენომები, რომლებიც ძუძუმწოვრებსაც მოიცავს და აღმოაჩინა, რომ მათში აღნიშნული გენების განსხვავებული ვერსიაა წარმოდგენილი.

მკვლევრებმა ასევე გაამახვილეს ყურადღება ამ ცხოველების სანერწყვე ჯირკვლების ქსოვილებზე — აქ მათ შენიშნეს იმის მსგავსი აქტივობის ნიმუში, რომელიც გველების შხამის ჯირკვლებში დაიკვირვება. ამის საფუძველზე ისინი ფიქრობენ, რომ, როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში, შესაძლოა, სანერწყვე ჯირკვლებმა ფუნქცია შეიცვალონ და შხამის წარმოება უზრუნველყონ. „იმ შემთხვევაში, თუ გარკვეულ გარემო პირობებში თაგვებს, რომლებიც საკუთარ ნერწყვში ტოქსიკურ ცილებს წარმოქმნიან, უკეთეს რეპროდუქციულ შედეგს მიაღწევენ, მაშინ, შეიძლება, რამდენიმე ათას წელიწადში შხამიან თაგვებთანაც მოგვიწიოს გამკლავება“, — ამბობს გუნდი.

# გუშინ სენაკში 25 წლის კაცი მოკლეს

**სენაკის** მუნიციპალიტეტში მკვლელობა მოხდა. არსებული ინფორმაციით, მოკლულია 25 წლის მამაკაცი და დაჭრილია რამდენიმე პირი. აქედან ერთი დაჭრილის მდგომარეობა უმძიმესია.

მოკლული და დაჭრილი ბიჭები ძმები არიან. არსებული ინფორმაციით, მეზობლებს შორის ურთიერთდაპირისპირება მკვლელობით და დაჭრით დასრულდა. ასევე დაჭრილია დაპირისპირებაში მონაწილე კიდევ ერთი პირი.



გავრცელებული ცნობით, თავდაპირველად ყველა დაჭრილი პირი კლინიკაში გადაიყვანეს, თუმცა ერთი სამედიცინო დაწესებულებაში მიყვანამდე გარდაიცვალა. შემთხვევა გორის ქუჩაზე, წუხელ, გვიან ღამით მოხდა. სხვა დეტალები კი, ჯერჯერობით უცნობია.

# კიევს „ოლიმპიური ზავი“ არ მოსწონს

**საფრანგეთის** პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა უკრაინას რუსეთთან ე.წ. „ოლიმპიური ზავი“ შესთავაზა. შეთავაზებას უმალ გამოეხმაურა უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი. მან ასეთი ზავი არ მიიჩნია საკმარისად უსაფრთხოდ და მას ბუნდოვანი უწოდა. საუბარია მაკრონის იდეაზე, პარიზის ოლიმპიური თამაშების ფარგლებში უკრაინა-რუსეთის დაზავების გაფორმებაზე.

ზელენსკის აზრით, ამგვარი ზავი უპირატესობას მისცემს რუსეთს, რადგან ამ უკანასკნელს დრო მიეცემა არტილერიისა და ჯარების გადასაადგილებლად. ცეცხლის შეწყვეტა ამ მტერთან არაფერს იძლევა. გარდა ამისა, ვინ გააკონტროლებს იმას, რომ ზავის პერიოდში რუსული ძალები არ მოგვიახლოვდებიან და შემდეგ კი გადამწყვეტ შეტევას არ განახორციელებენ?! ცეცხლის შეწყვეტა ხომ ტანკებს ხელს არ უშლის გადაადგილებაში. ამ საზავო პირობების დეტალებს ვერ ვიგებ. ამიტომ ეს იდეა ჩემთვის უსიცოცხლო ისტორიას ჰგავს, – განაცხადა ზელენსკიმ ფრანსპრესისათვის მიცემულ ინტერვიუში.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე
თემურ ქორიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,
ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 22 მაისს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.7585; ევრო - 2.9910;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4914;
100 რუბლი - 3.0337; თურქული ლირა - 0.0855;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6223;
1000 სომხური დრამი - 7.1114.

**ამინდი 20 მაისისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +5, | დღე +22 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -1, | დღე +21 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +6, | დღე +25 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +4, | დღე +23 |
| თბილისი: | ღამე | +8, | დღე +22 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge